დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ნიუ მეჯიქის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია

წევრები:

- ნინო კახიძე
- ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ნიუ მეჯიქი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405107619

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს ნიუ მეჯიქის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა), ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის MES 4 26 0000149908 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ნინო კახიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); ხათუნა მაისაია - დარგის ექსპერტი (წევრი) - „საექთნო განათლება" (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **19 და 20 თებერვალს** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა), ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით არაგეგმიური ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. ბათუმი ივ. ჯავახიშვილის ქ. N3ა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში - **შპს ნიუ მეჯიქი.**

შპს ნიუ მეჯიქი (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას (დაწესებულების პერსონალის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ კოლექტიურ განცხადებას, შემდგომში „კოლექტიური განცხადება“).

2026 წლის 13 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ზემოაღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისთვის, ასევე კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი გარემოებების შესწავლის მიზნით, კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა ფაქტობრივ გარემოებებზე, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი **(იხ. დანართი N1 -** ვიზიტის დღის წესრიგი) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2026 წლის 19 და 20 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების, ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა), ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (44-მდე პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლების“ პროგრამის ხელმძღვანელს (სულ 7-მდე პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2 ობიექტის წარმომადგენელი), მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას კურსდამთავრებული არ ჰყავს.

პროფესიულ სტუდენტთა ერთ ნაწილთან გასაუბრება შედგა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მონიტორინგის პროცესში, 2026 წლის 19 და 20 თებერვლის შემოვლაზე (შემოვლის პერიოდი - 19.02.2026 - 13:10-15:00; 20.02.2026 – 12:00-13:00; 15:00-16:00) დაწესებულების 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 12 ჯგუფიდან, დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო განრიგის მიხედვით, ადგილზე უნდა ყოფილიყო 10 ჯგუფი, თუმცა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ 6 ჯგუფთან შემდეგი შემადგენლობით:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საბაჟო საქმე,** <u>2025 წლის მიღების ჯგუფში</u> ირიცხებოდა 23 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „ინგლისური ენა“ მეცადინეობას ესწრებოდა 1 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს მოდულზე - „საბაჟო ზედამხედველობა“ მეცადინეობას ესწრებოდა 4 პროფესიული სტუდენტი; <u>2024 წლის მიღების ჯგუფში</u> ირიცხებოდა 18 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „სამართალდარღვევის საქმისწარმოება“ მეცადინეობას ესწრებოდა 2 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს მოდულზე - „საბაჟო გაფორმება“ მეცადინეობას ესწრებოდა 1 პროფესიული სტუდენტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ფარმაცია (სააფთიაქო),** <u>2025 წლის მიღების ჯგუფში</u> ირიცხებოდა 22 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ მეცადინეობას ესწრებოდა 2 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს მოდულზე - „უცხო ენა“ - 2 პროფესიული სტუდენტი; <u>2024 წლის მიღების ჯგუფში</u> ირიცხებოდა 24 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „სამკურნალო საშუალებების ფარმაცევტული ანალიზი 2“, მეცადინეობას <u>**არ ესწრებოდა არც ერთი პროფესიული სტუდენტი,**</u> ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს იგივე მოდულზე არ ერთი პროფესიული სტუდენტი არ გამოცხადებულა; <u>2024 წლის გაზაფხულის მიღების ჯგუფში</u> ირიცხებოდა 14 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, რომელთაგან <u>**არც ერთი არ ესწრებოდა 2026 წლის 19 და 20 თებერვლის მეცადინეობებს;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საექთნო განათლება,** 2025 წლის მიღების ჯგუფში ირიცხებოდა 27 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „მიკრობიოლოგია“ მეცადინეობას ესწრებოდა 7 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს მოდულზე - „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“ - 13 პროფესიული სტუდენტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **ბუღალტრული აღრიცხვა,** 2025 წლის მიღების ჯგუფში ირიცხებოდა 28 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, 2026 წლის 19 და 20 თებერვლის მეცადინეობებს **არ ესწრებოდა არც ერთი პროფესიული სტუდენტი;** 2024 წლის მიღების ჯგუფში ირიცხებოდა 20 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, 2026 წლის 19 და 20 თებერვლის მეცადინეობებს **არ ესწრებოდა არც ერთი პროფესიული სტუდენტი;**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **აღმზრდელი,** 2025 წლის მიღების ჯგუფში ირიცხებოდა 20 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „ადრეული განათლების კურიკულუმი“ მეცადინეობას ესწრებოდა 7 პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს იგივე მოდულზე - 5 პროფესიული სტუდენტი; 2024 წლის მიღების ჯგუფში ირიცხებოდა 32 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. 2026 წლის 19 თებერვალს მოდულზე - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები“, მეცადინეობას ესწრებოდა 8 პროფესიული სტუდენტი (მოგვიანებით დაემატა 2 პროფესიული სტუდენტი), ხოლო 2026 წლის 20 თებერვალს მოდულზე „კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში“ – 4 პროფესიული სტუდენტი.

  (იხ. დანართი N2 - მეცადინეობების განრიგი და ლექციებზე სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ჩანაწერები გაკეთებულია დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის 18 თებერვალს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე განცხადება დაწერა სულ 67-მა პროფესიულმა სტუდენტმა, ხოლო 20 თებერვლის მდგომარეობით განმცხადებელთა რიცხვმა **76-ს** მიაღწია, მათ შორის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ბუღალტრული აღრიცხვა - 30 პროფესიული სტუდენტი;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **ფარმაცია (სააფთიაქო) – 44 პროფესიული სტუდენტი;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **საბაჟო საქმე - 2 პროფესიული სტუდენტი (იხ. დანართი N3** - პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე - 76 განცხადება**).** აღსანიშნავია, ის გარემოება რომ პროფესიული სტუდენტები განცხადებაში იდენტურ ტექსტებს უთითებდნენ, კერძოდ - ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები განცხადების ტექსტში ძირითადად ასახელებენ „არასასურველ/დაძაბულ სასწავლო გარემოს“, ხოლო ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიერ ძირითადად დასახელებულია „წამყვანი და ძირითადი პროფესიული მასწავლებლების სამსახურიდან გათავისუფლება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

გასაუბრების მიზნებისათვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩეულ იქნა **საექთნო განათლების** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სამივე წლის (2023-2024 წელი; 2024-2025 წელი; 2025-2026 წელი) **სულ 30 პროფესიული სტუდენტი** (მათ შორის ის პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ვიზიტის პირველ დღეს არ იყვნენ კოლეჯში (მიზეზი - ნაწილი არ ესწრებოდა მეცადინეობას, ნაწილი დაწესებულების განმარტებით იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე), *ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებაზე გამოცხადდა სულ 17 პროფესიული სტუდენტი),* ასევე **22 პროფესიული სტუდენტი** იმ 76 პროფესიული სტუდენტიდან, რომელთაც განცხადება დაწერეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, *ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებაზე გამოცხადდა სულ 12 პროფესიული სტუდენტი.* ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ექსპერტთა თანდასწრებით დაწესებულების წარმომადგენლის (რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის) მიერ ჩამოტვირთული რეესტრიდან (იხ. **დანართი N4** - პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ჩამოტვირთული ბაზა).

ვიზიტის პირველ დღეს კოლეჯის ხელმძღვანელთან შეხვედრის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი ცენტრის წარმომადგენლის თანდასწრებით შეხვდა კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებს (სულ 10 პირი, შეხვედრას არ ესწრებოდა 1 პირი, მიზეზად დასახელდა ოჯახური მდგომარეობა). შეხვედრის თაობაზე დაიწერა აქტი, რომელიც ხელმოწერილია ყველა დამსწრე პირის მიერ (**იხ. დანართი N5** - განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან შეხვედრის აქტი).

კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერთა მხრიდან ელექტრონულად წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია (მტკიცებულებები), რომელიც მათი შეხედულებით ადასტურებდა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე ნაამბობს. მოცემული მტკიცებულებები ცენტრის წარმომადგენლის მიერ მიწოდებულ იქნა დაწესებულების დირექტორისთვის მათი ორიგინალთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით (**იხ. დანართი N6** - მტკიცებულებების ორიგინალთან შესაბამისობის დასტური (**იხ. დანართი N7** - მტკიცებულებები).

დაწესებულებაში ბოლო 4 თვის განმავლობაში განხორციელებულია არაერთი დასაქმებულის დისციპლინური წარმოება. მათ შორის:

- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის N89 ბრძანებით შექმნილია დისციპლინური კომისია და ჩანიშნულია კომისიის სხდომა, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 04 დეკემბრის N92 ბრძანებით დამტკიცებულია დისციპლინური კომისიის მუშაობის წესი, რომლის არ არსებობა კომისიამ პირველ სხდომაზე აღმოაჩინა;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N96 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (დირექტორის მოადგილე, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი - აღნიშნულ პოზიციებს ერთი დასაქმებული იკავებდა);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N101 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების შესახებ (საქმისწარმოების სპეციალისტი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N98 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ (ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N97 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N99 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ (ფარმაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N100 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და საყვედურის გამოცხადების შესახებ (აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი);
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N46 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და საყვედურის გამოცხადების შესახებ (იურისტი).

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ დაწესებულების პერსონალის სამუშაო დროის დიდი ნაწილი ეთმობა დისციპლინურ საქმისწარმოებაში მოყვანილი გარემოებების გარკვევას, შესაბამისი დოკუმენტების (მოხსენებითი ბარათები, ოქმები, ბრძანებები, მტკიცებულებების შეგროვება, ურთიერთდადანაშაულება და სხვ.) შემუშავებას და ამ დროს სასწავლო პროცესი განსაკუთრებით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამების შემთხვევაში რჩება ყურადღების მიღმა. პროფესიული სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას დაწესებულებაში ზემოაღნიშნულ პირებთან დაკავშირებული პროცესების შესახებ და მოცემული საკითხების განხილვას ეთმობა სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი დრო. გამომდინარე ირიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის საფუძვლად განსაზღვრული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო საფუძვლიანად შეეფასებინა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი. სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა უფლებების ნაწილში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილია ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფისათვის მიწოდებული კოლეჯის მოქმედი/ყოფილი თანამშრომლების მიერ ცენტრში წარმოდგენილ კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები, რის შედეგადაც დადგინდა:

N	განცხადებაში მოყვანილი გარემოება	ექსპერტთა ჯგუფის მიგნება/შეფასება	მტკიცებულება
1.	შპს „ნიუ მეჯიქში“ შექმნილია არასათანადო სამუშაო გარემო და სტრესული ვითარება; კოლეჯში შექმნილია კონფლიქტური სიტუაცია (რასაც დაადასტურებენ	- დაწესებულებაში შექმნილ არასათანადო გარემოს იხსენიებს პროფესიულ სტუდენტთა ის ნაწილი, რომლებმაც დაწერეს განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, ხოლო აღნიშნულს არ ადასტურებს	- კოლექტიური განცხადება; - პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

	პროფესიული სტუდენტებიც), რომლის მიზეზი ღრმა და მასშტაბურია	სტუდენტთა ის ნაწილი, რომლებიც ესწრებიან მეცადინეობებს; - კონფლიქტურ სიტუაციას ადასტურებენ კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერნი, ხოლო აღნიშნულს უარყოფენ სხვა დასაქმებულები; - დაწესებულებაში ბოლო 1,5 წლის განმავლობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები და დისციპლინური საქმისწარმოების მტკიცებულებები მიუთითებს დაწესებულებაში არსებულ არაჯანსაღ სასწავლო და სამუშაო გარემოზე (ვრცლად იხ. მე-4 სტანდარტის აღწერა); - დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე განცხადება დაწერა საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა და დატოვა სამუშაო გარემო (აღნიშნული ერთ-ერთი ხელმომწერია კოლექტიურ განცხადებაზე), მიზეზად დასახელდა ისეთი დავალების მიღება ხელმძღვანელისგან, რომლის შესრულება ეწინააღმდეგებოდა დადგენილ ნორმებს, კერძოდ ბრძანებების ჟურნალში სარეგისტრაციო ჩანაწერების გაკეთება გამოტოვებულ ადგილებში. ექსპერტთა ჯგუფმა დაუყოვნებლივ გამოითხოვა ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი, თუმცა აღნიშნული არ დადასტურდა. დაწესებულება არ ახორციელებს სანდო საქმისწარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (ეფლოუ),რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყველა	- კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან ინტერვიუს აქტი; - პროფესიულ სტუდენტებთან და დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგები; - საკადრო ცვლილებების განხორციელების ბრძანებები; - დისციპლინური საქმისწარმოების მასალები; - ბრძანებების, ხელშეკრულებების, ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალები; - საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (ეფლოუ) ასახული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		დოკუმენტი სისტემაში რეგისტრირებული არ იყო (ვრცლად იხილეთ მე-5 სტანდარტის აღწერა)	
2.	ხშირია დირექტორის მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა თანამშრომლებზე, არ გვაძლევს მუშაობის საშუალებას სამუშაო აღწერილობების შესაბამისად	- აღნიშნული დასახელებულია კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირთა მიერ, თუმცა არ დადასტურებულა არც ერთი დასაქმებულის მიერ; - ინტერვიურების დროს, აღნიშნული არ დადასტურებულა არც ერთი პროფესიული სტუდენტის მიერ, მათ შორის არც იმ პროფესიული სტუდენტების მიერ, რომლებმაც დაწერეს განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე. თუმცა, ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების ნაწილის ხელმოწერით დაწესებულებაში არსებობს განცხადება, რითაც ისინი ითხოვენ პროგრამის ხელმძღვანელის და „ლექტორების“ სამსახურში დაბრუნებას (ერთი განცხადება, რომელიც დაწერილია 2026 წლის 17 თებერვალს) და მეორე განცხადება, სადაც დაფიქსირებულია დირექტორის მიერ სტუდენტების მიმართ ცინიკური დამოკიდებულება, სასწავლო პროცესისთვის შეუფერებელი სასწავლო გარემო და სხვ; - აღნიშნული არ დადასტურებულა ექსპერტთა ვიზიტის დროს.	- კოლექტიური განცხადება; - კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან ინტერვიუს აქტი; - პროფესიულ სტუდენტებთან და დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგები; - პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები სტატუსის შეჩერების თაობაზე, სადაც არსად არ არის ნახსენები დირექტორის არასათანადო ქმედება; - ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების 2 განცხადება სხვადასხვა მოთხოვნით (იხ. დანართი N3)
3.	სწრაფად ცვლის კადრებს საკუთარი შეხედულებების მიხედვით, პროფესიული უნარ-ჩვევების უგულველყოფით; ხშირი საკადრო ცვლილებები იწვევს (ადმინისტრაციაში) უნდობლობასა	- ბოლო 1,5 წლის განმავლობაში განხორციელებულია ათეულობით საკადრო ცვლილება, მათ შორის პოზიციური გადაადგილება (ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე გადაყვანა, მათ შორის თანამდებობრივი დაქვეითება) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დანიშვნა;	- კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელთა ორიგინალთან დოკუმენტების სისწორე დადასტურებულია კოლეჯის დირექტორის მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

	და ადმინისტრაციის თანამშრომლების უნარ-ჩვევებში ეჭვს, რის გამოც არ აღიარებენ ერთმანეთს	- დაწესებულებაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობით დანიშნულია 1 დასაქმებული (ბიბლიოთეკის თანამშრომელი), ხოლო შრომითი ურთიერთობის პროცედურული დარღვევით აყვანილია 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი. (ვრცლად იხ. მე-4 სტანდარტის აღწერა).	- დაწესებულებაში საკადრო ცვლილებების განხორციელების ბრძანებები; - პერსონალის პირადი საქმე; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგები.
4.	კოლეჯში მიმდინარე საქმიანობა არ არის ობიექტური და არ გამორიცხავს საქმიანობაში ჩართული პირების მიკერძოებულობას	დაწესებულების საქმიანობაში ჩართული პირების მიკერძოებულობა იკვეთება ორგანიზაციაში გუნდური კონფლიქტის ფარგლებში, კერძოდ - ერთ გუნდად ვლინდება დაწესებულების დირექტორის მოადგილე, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელი და რამდენიმე მასწავლებელი, რომელთა ინტერესებს იზიარებს ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტები და ეს ჩანს მათ მიერ დაწერილი განცხადებებიდან, სადაც გამეორებულია ერთი და იგივე საფუძვლები - „წამყვანი და ძირითადი მასწავლებლების გათავისუფლება“, მეორე გუნდი არის ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ამავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც აქვთ სხვა ტექსტი - „დაწესებულებაში არსებული არასასურველი გარემო“, დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი სხვადასხვა ფორმით დაკავშირებულია კოლეჯის პერსონალთან (ზოგი ნათესავია, ზოგი ახლობელია, ზოგი ყოფილი სტუდენტია და სხვ.) რაც პერსონალს აძლევს საშუალებას გავლენა იქონიონ მათზე. ანალოგიური მდგომარეობაა გუნდის წევრებთან	- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები; - პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		დაკავშირებით, ხშირია ფრაზა „ჩემი მოყვანილი“ და „მისი მოყვანილი“, რის გამოც პერსონალის ერთი ნაწილი არ აღიარებს მეორე ნაწილის პროფესიონალიზმს, ხოლო აღნიშნული გავლენის ქვეშ ასევე ექცევიან პროფესიული სტუდენტები. მაგალითად, ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა, რომელთაც განცხადებები დაწერეს სტატუსის შეჩერების თაობაზე და მიზეზად დაასახელეს „არასასურველი სასწავლო გარემო“, ვერ აღწერეს აღნიშნული რაში გამოიხატებოდა, დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა მეცადინეობებზე დასწრებას, ხოლო როდესაც ითქვა, რომ მასწავლებელი შეეცვალათ, ეს ჩათვალეს მიუღებლად. როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ დასაქმებულებს აქვთ უფლება შეწყვიტონ შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან, გახდნენ ავად, ისარგებლონ შვებულებით და ასე შემდეგ, ხოლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის უწყვეტობა მაგ. სხვა მასწავლებელმა გააგრძელოს სწავლება და კითხვაზე როგორი პედაგოგია ახალი მასწავლებელი, სტუდენტთა ნაწილი მას არ იცნობდა, ხოლო ნაწილმა კარგად დაახასიათა, ექსპერტთა კითხვაზე, მაშინ პრობლემა რა იყო და რატომ არ ესწრებიან მეცადინეობას, აღნიშნეს, რომ თანადგომას უცხადებენ კონკრეტულ ადმინისტრაციულ თუ პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულებს.	
5.	მოქმედ რეგულაციებსა და პროცედურებში ახორციელებს ცვლილებებს, ისე რომ	დაწესებულებაში არ არსებობს შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებისა და გაცნობის პროცედურა, ამიტომ ცალსახად იმის თქმა, რომ ყველა რეგულაცია ეცნობოდა	- დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	დაინტერესებულ პირთათვის ცვლილებების მიზნებიც და განხორციელებული ცვლილებები უცნობია და ხდება თანამშრომლების ფაქტის წინაშე დაყენება	პერსონალს ან არც ერთი რეგულაციის გაცნობა არ ხდებოდა, შეუძლებელია. კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირთა მიერ გამოგზავნილია ბრძანების დამოწმებული ასლი, რომ 2026 წლის იანვარში შესულია ცვლილებები შინაგანაწესში, რადგან ეს ბრძანება ხელმისაწვდომი გახდა განცხადებაზე ხელმომწერი 10 პირისთვის, შეუძლებელია იმის თქმა, რომ დაწესებულების პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია ცვლილებების შესახებ. ამასთან, ამავე ბრძანების (ბრძ. N3, 29.01.2026) მე-3 პუნქტი ავალდებულებს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების გაცნობას დაინტერესებულ პირთათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირებიდან ერთ-ერთი ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელია (მოცემულ სამსახურში სულ ერთი თანამშრომელია). ანალოგიური ჩანაწერი მოცემულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N20 ბრძანების მე-5 პუნქტში - „დაევალოს საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანება და დამტკიცებული ფორმა გააცნოს კოლეჯის პერსონალს კანონით დადგენილი წესით“, საკითხი ეხება პერსონალის შეფასების/თვითშეფასების განხორციელებასა და შესაბამისი ფორმის დამტკიცებას. იგივე ჩანაწერებს ვკითხულობთ კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში კოლეჯის „ორგანიზაციული სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების დამტკიცების“ თაობაზე დირექტორის 2025 წლის 10	განხორციელებული ცვლილებების ბრძანებები; - კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები; - კოლეჯის დირექტორის ბრძანებები შიდა მარეგულირებელს დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		ნოემბრის N82 ბრძანების მე-2 პუნქტში „შპს ნიუ მეჯიქის“ ორგანიზაციული სტრუქტურისა და ცალკეული პოზიციების დამტკიცებიდან გამომდინარე, შპს ნიუ მეჯიქის თანამშრომლებთან დადებული შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების ახალ სტრუქტურასთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერს, უზრუნველყოს: ა. თანამშრომლების ინფორმირება ახალი სტრუქტურის შესახებ; ბ) თანამშრომლებთან არსებული შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გადახედვა. საჭიროების შემთხვევაში მათი განახლება ან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაცვით“. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბრძანების შინაარსის გაცნობის ვალდებულება ყველა ბრძანებაში განსაზღვრული არ არის. დაწესებულების პერსონალთან 2026 წლის 03 თებერვალს გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის 2.1.6 მუხლში იკითხება ჩანაწერი - „დასაქმებული“ ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მომენტში მისთვის უკვე ცნობილია ორგანიზაციაში მოქმედი შრომის შინაგანაწესი, იგი ეთანხმება მას და იღებს ვალდებულებას სრულად დაიცვას მასში მოცემული დებულებები. ზემოაღნიშნული შინაარსით 2026 წლის 03	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		თებერვალს გაფორმებულია N59 ხელშეკრულება კოლექტიური განცხადების ერთ-ერთ ხელმომწერთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხორციელებული მიმოწერა პერსონალთან (მათ შორის კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან), სადაც გაზიარებულია დოკუმენტების ცვლილებების პროექტები და მოთხოვნილია უკუკავშირი, რაზეც მიღებულია დასტური (იხ. დანართი N9 შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილების თაობაზე ელ.კომუნიკაცია)	
6.	დირექტორი არ უზრუნველყოფს, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისობაში იყოს კოლეჯის შინაგანაწესთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებულ პირთა (თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების) საუკეთესო ინტერესებს	არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი ბუნდოვანია და არსებითი განმარტება კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირთა მიერ არ გაკეთებულა, დაინტერესებულ პირთა (თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების) საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების განცხადებების დაკმაყოფილების არაერთი მაგალითი, მათ შორის - დირექტორის მიერ დაკმაყოფილებულია არაერთი პროფესიული სტუდენტის განცხადება სწავლის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე (თვითდაფინანსების ნაწილში), ნიმუშად იხ. დანართი N8 - საფინანსო შეღავათი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის სტიმულირების თაობაზე ბრძანებები (აღნიშნული ასევე წარმოდგენილია კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირთა მიერ), პერსონალის	- პროფესიულ სტუდენტთა თვითდაფინანსების გადასახადისგან გათავისუფლების თაობაზე დირექტორის მიერ დაკმაყოფილებული განცხადებები და ბრძანებები; - პერსონალისთვის ფინანსური სტიმულირების თაობაზე გამოცემული ბრძანებები; - პერსონალის განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების მტკიცებულებები; - სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში კოლეჯისა და მისი პერსონალის მონაწილეობის მტკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		განვითარების მიზნით ჩატარებულია არაერთი ტრენინგი, დაწესებულება წარმოდგენილია არაერთ ღონისძიებაზე, მათ შორის ფოტოებზე ჩანს კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირები, აღნიშნულის დასტურად დაწესებულების სოციალურ ქსელში არაერთი ნიუსია განთავსებული, ხოლო დაწესებულების ვებგვერდზე რუბრიკაში „გალერეა“ თვალსაჩინოა არაერთი ფოტო მასალა.	- დაწესებულების ვებ და სოციალური ქსელის გვერდები.
7.	თანამშრომლებს არ აცნობს პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეებს, არ არის ღია თანამშრომლობისთვის, რათა განხილული იყოს სიახლეები, წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები კოლეჯში არსებული პრობლემების გადასაჭრელად	არ გამოვლენილა კონკრეტული ფაქტი, რომელიც ადასტურებდა მოცემულს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები პერსონალის განვითარების მიზნით, მათ შორის ჩატარებულია ტრენინგები, დაწესებულების პერსონალს მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა ორგანიზაციების ღონისძიებებში, სამუშაო შეხვედრებში და სხვ., რაც ასევე განთავსებულია კოლეჯის სოციალურ გვერდზე - https://www.newmagic.ge/ge/gallery	- დაწესებულების სოციალური ქსელი გვერდი; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგები.
8.	ადმინისტრაციის თანამშრომლები ერთმანეთს არ ენდობიან უპირისპირდებიან ერთმანეთს და ღიად კოლეჯში გამეფებულია სრული ქაოსი	- აღნიშნული დასახელებულია კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირთა მიერ, თუმცა არ დადასტურებულა არც ერთი დასაქმებულის მიერ; - მცირე შელაპარაკების ფაქტი დადასტურდა იმ პროფესიული სტუდენტების მიერ, რომლებმაც დაწერეს განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, თუმცა ექსპერტთა შეკითხვაზე თუ რამდენად ხშირად ხდებოდა, პროფესიულ სტუდენტებს ეს სიხშირე არ დაუდასტურებიათ; - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილია 2024 და 2025 წელს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	- კოლექტიური განცხადება; - კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან ინტერვიუს აქტი; - პროფესიულ სტუდენტებთან და დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგები; - 2024 და 2025 წელს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		მიერ ჩატარებული კოლეჯის პერსონალისა (2024 წ.) და პროფესიული სტუდენტების (2025წ.) კმაყოფილების კვლევის შედეგები, რის მიხედვითაც ჩანს პერსონალის საშუალოდ 30%-ის უკმაყოფილება (სულ გამოკითხულია 16 ადამიანი), ხოლო პროფესიული სტუდენტების საშუალოდ 96%-იანი კმაყოფილება ფიქსირდება; - აღნიშნული არ დადასტურებულა ექსპერტთა ვიზიტის დროს.	კოლეჯის პერსონალისა (2024 წ.) და პროფესიული სტუდენტების (2025წ.) კმაყოფილების კვლევის შედეგები.
9.	წამყვან პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლები სიტყვიერად ხშირად აფრთხილებდნენ კოლეჯის დირექტორს კოლეჯში შექმნილი ვითარებისა და მათზე დაკისრებული მოვალეობებისა და განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ. ხშირი გაფრთხილებები იწვევდა დირექტორის გაღიზიანებას, დირექტორი მუდმივად პასუხობდა ჯერ ამის დრო არ არის.	- აღნიშნულს არ ადასტურებს კოლეჯის დირექტორი.	საკითხის შინაარსიდან გამომდინარე კონკრეტული მტკიცებულებები არ არსებობს
10.	ხშირად მიმართავდნენ სასწავლო მასალის შეძენის აუცილებლობაზე, თუმცა კოლეჯში ჩარიცხული თანხები სასწავლო პროცესების გაუმჯობესებისა და სასწავლო მასალისკენ არ მიემართებოდა.	აღნიშნული ფაქტის შესწავლის მიზნით გამოთხოვილ იქნა მტკიცებულებები, განხორციელებულ იქნა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან, რის მიხედვითაც პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ სასწავლო მასალები მათ სრულყოფილად მიეწოდებოდათ სწავლების პერიოდში მათთვის ყველაზე მისაღები მეთოდით (მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა და	- დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგები; - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების ბიბლიოთეკის შეფასების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		მასწავლებელთა ჯგუფებში გაზიარებული მასალები), ასევე აღნიშნავენ, რომ იციან ბიბლიოთეკის არსებობის შესახებ, თუმცა ჩათებში მიწოდებული მასალა მათთვის სრულყოფილია, ამიტომ ბიბლიოთეკით ხშირად არ სარგებლობენ. ერთ-ერთმა პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობს ხშირად და კითხულობს მის სფეროსთან დაკავშირებულ დამატებით ლიტერატურას. ადგილზე ვიზიტის დროს, „საექთნო განათლების“ დარგის ექსპერტის მიერ ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი შეფასდა დადებითად, მისი მხრიდან ასევე აღინიშნა ისიც, რომ ის წიგნები, რომლებიც კოლეჯს აქვს არის უახლესი გამოცემები. მიმართვები სასწავლო რესურსის შეძენის თაობაზე წერილობით არ დასტურდება. აღნიშნულს არ ადასტურებს კოლეჯის წარმომადგენლებიც.	განათლება განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო მასალის ადგილზე არსებობის შესწავლის შედეგები.
11.	დირექტორი თანამშრომლებს აღიარებდა მხოლოდ მაშინ, როცა იწყებოდა სტუდენტთა რეგისტრაცია და სურდა შედეგის მიღება.	დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის ივლისსა (ბრძ. N25) და 2025 წლის ნოემბერში (ბრძ. N88) გამოცემული ბრძანებები კოლეჯის პერსონალის ფინანსური სტიმულირების თაობაზე. 2025 წლის ნოემბერში რეგისტრაცია და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა დასრულებული იყო, ამიტომ იმის თქმა, რომ სტუდენტთა რეგისტრაციის მიზნით ხდებოდა პერსონალის აღიარება, ცალსახად არ დასტურდება. 2025 წელს დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელი წარდგენილია კერძო კოლეჯების ასოციაციის ღონისძიებაზე მაგისტრი მასწავლებლის ტიტულის მისაღებად.	- დაწესებულების დირექტორის ბრძანებები პერსონალის ფინანსური სტიმულირების თაობაზე; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

12.	დირექტორისთვის მთავარია პროფესიული სტუდენტებით შევსებულიყო კოლეჯი და სახელმწიფო თანხები ჩარიცხულიყო კოლეჯის ანგარიშზე. ხშირად აცხადებს საჯაროდ, რომ კოლეჯი მისი ოჯახური ბიზნესია და როგორც უნდა ისე მართავს და ისე განკარგავს სახელმწიფოს მიერ ჩარიცხულ თანხებს. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ სახელმწიფოს მიერ ჩარიცხული თანხები იხარჯება არამიზნობრივად	აღნიშნული ფაქტის სიღრმისეული მოკვლევა დაწესებულების ავტორიზაციის ჯგუფის უფლებამოსილებას ცდება. ვიზიტის პერიოდში პერსონალთან ინტერვიურებით გადამოწმდა მათი შრომითი ანაზღაურების გამართული სისტემის არსებობა, არც ერთ დასაქმებულს არ განუცხადებია, რომ შრომის ანაზღაურება დაუგვიანდათ; ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ასევე დაისვა კითხვები სასწავლო პროცესის მიზნებისათვის მასალა-ნედლეულის შესყიდვასთან დაკავშირებით, არ დადასტურებულა ფაქტი, რომ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულიყო, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნის ფორმები და შესყიდვის დოკუმენტები (მოთხოვნისა და შესყიდვის ვადები ემთხვევა ერთმანეთს), აღნიშნული მოთხოვნა ასევე გაკეთებულია კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირის მიერ. ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ფარმაციის ლაბორატორიაში ათეულობით ნივთიერება (მალასა-ნედლეული ლაბორატორიული სამუშაოებისთვის), რომელიც შესყიდულია დაწესებულების მიერ და განთავსებულია შესაბამის ქილებში, მითითებულია შესყიდვის თარიღები.	- დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები; - მასალა-ნედლეულის მოთხოვნის ფორმები და შესყიდვის დოკუმენტები; - ლაბორატორიის დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას არ დადასტურებულა ფაქტი, რომ მათ არ ჰქონოდათ სასწავლო პროცესის მიზნებისათვის საჭირო მასალა-ნედლეული.	
13.	ზაფხულში _ თანხა გაიტანა _ კოლეჯიდან თითქოს სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. კოლეჯში არანაირი რემონტი არ ჩატარებულა, არც შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტები არ არსებობს	დაწესებულების სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნებისათვის წარმოდგენილია კოლეჯსა და ფიზიკურ პირს შორის 2025 წლის 01 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე. დაწესებულების საკონფერენციო დარბაზში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების პერსონალის მიერ აღწერილია სხვადასხვა ოთახსა და სივრცეში განხორციელებული სარემონტო სამუშაოები.	- ფ/პ-სთან 2025 წლის 01 აგვისტოს გაფორმებული N22 მომსახურების ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოების განხორციელების თაობაზე; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები; - დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები.
14.	პირად და ოჯახურ საბანკო ვალებს ისტუმრებს კოლეჯის ფინანსური რესურსებიდან	მოცემული საკითხის შესწავლა ცდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა უფლებამოსილებას. დაწესებულების დირექტორთან და ფინანსურ მენეჯერთან ინტერვიურებისას მოცემული ფაქტი არ დადასტურებულა.	დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები
15.	ავტორიზაციის წინ კოლეჯს ქონდა 63 სრულად გამართული კომპიუტერი. ეს კომპიუტერები შემდგომში გაქრა, დირექტორმა თანხა გაიტანა ვითომდა კომპიუტერების შესაძენად. ამ ეტაპზე კოლეჯში მდარე ხარისხის მეორადი კომპიუტერებია და რაოდენობაც უცნობია. ბუღალტერმა არ იცის სად და რა ტიპის კომპიუტერები შეიძინა	დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის ოქტომბერში გამოცემულია 2 ბრძანება კომპიუტერული ტექნიკის შეძენის თაობაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ტექნიკის (5 მეორადი მონიტორი, 5 პრინტერი) შესყიდვის თაობაზე 2025 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული N28 ნასყიდობის ხელშეკრულება, 2025 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებულია N23 ნასყიდობის ხელშეკრულება 3 ერთეული მეორადი ლეპტოპის შესყიდვის თაობაზე.	- დაწესებულების დირექტორის ბრძანებები კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის თაობაზე; - დაწესებულების მიერ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები; - დაწესებულების მატერიალური რესურსების 2024 წლის ინვენტარიზაციის შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

	დირექტორმა, რა თანხა გადაიხადა და არც მიღება - ჩაბარების აქტი არ აქვს წარმოდგენილი.	ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა, კოლეჯში მოწყობილია 2 B სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 42 ერთეული კომპიუტერი/ლეპტოპი. კომპიუტერული ტექნიკა ასევე განთავსებული იყო A სასწავლო გარემოებში, ხოლო 6 ერთეული განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში. B სასწავლო გარემოში კომპიუტერული ტექნიკა იყო მუშა მდგომარეობაში, თუმცა მათი ნაწილი არ იყო ახალი კომპიუტერი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილია დაწესებულების 2024 წლის ინვენტარიზაციის მასალები, სადაც ჩანს მატერიალური რესურსის გამოშვების წელი, დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკის უდიდესი ნაწილი 2018 წლამდე თარიღდება, 1 კომპიუტერი 2019 წლის, 1 კომპიუტერი არის 2024 წლის, ხოლო 1 პრინტერი 2025 წლის. შესაბამისად, ცალსახად შეუძლებელია იმის თქმა, რომ კოლეჯის ავტორიზაციის პერიოდში ყველა კომპიუტერი იყო ახალი. 2025 წლის ინვენტარიზაცია კოლეჯში დასრულებული არ იყო. (იხ. დანართი N10 – 2024 წლის ინვენტარიზაციის შედეგები)	- ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები.
16.	ავტორიზაციის ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო კოლეჯში საქმისწარმოების განხორციელება ელექტრონულად (eflow). კერძო კოლეჯების ასოციაციასთან დირექტორმა გააფორმა	ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს დაწესებულებაში საქმისწარმოების პროცესის გაუმართაობას. დაწესებულების მიერ საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში 2026 წლიდან ფიქსირდება რიგი ბრძანებები, განცხადებები, თუმცა დოკუმენტების აღრიცხვა არასისტემურია.	- დაწესებულებასა და კერძო კოლეჯების ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eflow) დაწესებულების ჩართვის თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

	ხელშეკრულება და შეიძინა Eflow. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი ჩართულია eflow-ში, მასზე საქმისმწარმოებელს არ აქვს წვდომა, არ მიმდინარეობს არც ბრძანებების და არც სხვა დოკუმენტაციის Eflow -ში ატვირთვა. _ Eflow-ზე შემოსული წერილები და სიახლეები უცნობია თანამშრომლებისთვის. დირექტორი eflow -ს იყენებს მხოლოდ ცენტრში გასაგზავნი წერილებისთვის. კოლეჯში საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა არ მიმდინარეობს ელექტრონულად	დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ჩართულია კოლეჯის 4 დასაქმებული. ვრცლად იხ. მე-5 სტანდარტის აღწერა.	- 2026 წლის 22 იანვრიდან საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eflow) კიდევ 2 დასაქმებულის ჩართვის თაობაზე ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დამატება.
17.	კოლეჯის შესასვლელში, პირველ სართულზე, სადაც დაცვის თანამშრომლის ოთახია განთავსებული, ხშირად დგას მარიხუანას სუნი	მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ დადასტურებულა.	დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები
18.	დირექტორს ტელეფონში აქვს ჩატვირთული სათვალთვალო კამერა და თანამშრომლებს აკვირდება დაცვის თანამშრომლის ოთახიდან დაცვის თანამშრომელთან ერთად. როგორც თვითონ ამბობს “კაიფობს “ თანამშრომლებზე.	კოლეჯის დირექტორს აქვს ტელეფონში სათვალთვალო კამერა, რომელიც დამონტაჟებულია დაწესებულების ფოიეში. დაწესებულების დირექტორს ხსენებული დამოკიდებულება პერსონალის მიმართ არ დაუდასტურებია, აღნიშნული არ დადასტურებულა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას.	- კამერების ფლობის დოკუმენტაცია; - შენობა-ნაგებობის დათვალიერების შედეგები; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

19.	კოლეჯის დირექტორი ახორციელებს თანამშრომლებზე ფსიქოლოგიურ ძალადობას ვერბალურად და არავერბალურად, რითაც ცდილობს თანამშრომლების სრულ კონტროლს და მათთვის ემოციური ზიანის მიყენებას. ფსიქოლოგიური ძალადობა ჩვენში იწვევს მწვავე ემოციურ მდგომარეობას. კოლეჯის დირექტორი გვაშინებს, დაგვცინის, გვამცირებს კოლეგებისა და სტუდენტების წინაშე, გვავიწროებს, გვამყოფებს იზოლაციასა და სიჩუმეში, რადგან არ აქვს ჩვენთან კომუნიკაცია, გვისმენს უკანონოდ, რითაც ირღვევა ჩვენი პირადი სივრცე, გვიძახის შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებს. კონფლიქტს იწვევს დირექტორის პროვოკაციული ქმედებები. ხშირად ამბობს საჯაროდ "მე მიყვარს კონტროლირებადი ქაოსი და ვკაიფობ თანამშრომლებზე".	აღნიშნულის თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურება შედგა კოლეჯის პერსონალთან, თუმცა ფაქტი არ დადასტურებულა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაისვა კითხვები პროფესიულ სტუდენტებთან, თუ შესწრებიათ კონფლიქტურ სიტუაციებს დაწესებულებაში, სადაც მონაწილეობდა დირექტორი, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა არც ერთ ჯგუფს მოცემული ინფორმაცია არ დაუდასტურებია	- დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები - დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები
20.	დირექტორს არ წარმოუდგენია თანამშრომლებისთვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, არ განხილულა და არ დამტკიცებულა არც 2025 წლის და არც 2026 წლის სამოქმედო გეგმები არ მომხდარა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი	დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმა", რომელიც დირექტორის ელ.ფოსტით კოლეჯის პერსონალისთვის გაზიარებულია 2026 წლის 13 თებერვალს	- დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმა";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 13 ნოემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმა“. დაწესებულების დირექტორის მიერ კოლეჯის საქმისწარმოების სისტემაში (ეფლოუ) 2026 წლის 16 იანვარს N00003224 წერილით ატვირთულია 2025 წლის ანგარიში. კოლეჯის 2023-2029 წლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი (3 წლის შეჯამება) დაგეგმილია 2026 წლის მე-3 კვარტალში, აღნიშნული შეესაბამება დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N83 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ დებულებებს - „სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოში.“	- დირექტორის 2024 წლის 13 ნოემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმა“; - კოლეჯის საქმისწარმოების სისტემაში (ეფლოუ) 2026 წლის 16 იანვარს N00003224 წერილი; - კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; - დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N83 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია.
21.	სასწავლო დატვირთვები მტკიცდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ	კოლეჯში სასწავლო განრიგი მტკიცდება მოდულების დაწყება-დასრულების მიხედვით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სასწავლო განრიგების მიხედვით, 2025-2026 სასწავლო მიზნებისათვის ყველაზე ადრინდელი რიცხვით შემუშავებული განრიგი დათარიღებულია 2025 წლის 24 ნოემბრით (24.11.2025-17.01.2026). დაწესებულებაში მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში დამტკიცდა მეცადინეობებზე პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვის	- სასწავლო განრიგები; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ჟურნალის ფორმა, კოლეჯში არ იყო ფორმალიზებული პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვა. პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას, მათ განაცხადეს რომ სასწავლო პროცესი დაიწყეს 2025 წლის ნოემბრის თვეში.	- დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები.
22.	სწავლის შედეგების დადასტურებებსა და მტკიცებულებებზე საუბარს აზრი არც აქვს, ხშირია შემთხვევა, როცა პროგრამის ხელმძღვანელი (საექთნო განათლება) აიძულებს მოდულის განმახორციელებელს თვითონ დაადასტუროს შედეგი, რადგან თურმე ის სტუდენტი მისი ახლობელია	- ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ფარგლებში, დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა შეფასების უწყისები. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას არ გამოვლენილა სწავლის შედეგების იძულებით დადასტურების ფაქტი, თუმცა განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღები/პერიოდი ფორმალიზებული არ არის და დაწესებულება მაშინ უზრუნველყოფს განმსაზღვრელი შეფასების ჩატარებას/განმეორებით შეფასებას, როდესაც პროფესიული სტუდენტი გამოცხადდება კოლეჯში. ამას დაწესებულება ხსნის პროფესიულ სტუდენტთა ხელშემწყობ გარემოებად, რადგან მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს კოლეჯის ხელშეწყობა სწავლებისა და შეფასების ადმინისტრირების ნაწილში, თუმცა ფაქტი, რომ მათ სწავლის შედეგები დაუდასტურდათ ისე, რომ მათ ეს არ დაუწერიათ, არ დაფიქსირებულა.	- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები; - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები; - დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები; - დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		აღნიშნული ასევე უარყო კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა.	
23.	კოლეჯში პრაქტიკულად სწავლა არ მიმდინარეობს, რადგან სტუდენტებს თურმე პირობა აქვს აღებული, რომ შედეგებს დაუდასტურებენ და დიპლომებსაც მიიღებენ	- დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხი აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის პირველ ნაწილში. დაწესებულებაში არ იწარმოება მოდულის/პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიო, თუმცა მაგალითად ინგლისური ენის მოდულის მასწავლებელმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა მასალების კრებული, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში, სადაც ასევე იყო მოცემული პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები. სხვა მოდულების ფარგლებში ასევე ნაჩვენები იქნა რიგი ნაშრომები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რომელსაც ინახავენ პროფესიული განათლების მასწავლებლები. აღნიშნული დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის დროს 2026 წლის 19 და 20 თებერვალს. პროფესიულ სტუდენტებთან ინტევიურებისას, მათ შორის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯში მათ სწავლა გადაწყვიტეს პროგრამის ხელმძღვანელის გამო, რომელიც ხელს უწყობს მათ, რადგან სიარულს ვერ ახერხებენ სამსახურის გამო, ერთ-ერთმა ხაზი გაუსვა მის ასაკს და აღნიშნა, რომ “ჩემს ასაკში სხვა ბევრი საქმით ვარ დაკავებული და რომ არა ქ-ნ (ასახელებს ბუღალტრული	- დაწესებულების პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები; - დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურების შედეგები; - სასწავლო პროცესზე პროფესიულ სტუდენტთა დასწრების შესწავლის შედეგები; - პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები; - პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი სასწავლო მასალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

		აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელს) მე სწავლას არ გავაგრძელებდი". ექსპერტთა ჯგუფმა დასვა შეკითხვა, თუ რაში არ დაეხმარა კოლეჯის ადმინისტრაცია ან რატომ ფიქრობს, რომ მომავალში ხელშეწყობა არ ექნება, მისი თქმით "რა ხელშეწყობა, ესენი ატესტატის მოტანას მთხოვენ", რომელიც ომის დროს დაკარგა და მისი გადმოტანა ვერ შეძლო, საქართველოში კი აღდგენას არ უკეთებენ. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მისი პირადი საქმე და დადგინდა რომ მოცემული პროფესიული სტუდენტი ჩარიცხულია 2024 წლის 22 ნოემბერს, ხოლო მის პირად საქმეში არ დევს წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (იხ. დანართი N11 - პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე).	
24.	არ არსებობს კოლეჯის სავარაუდო და დაზუსტებული ბიუჯეტი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის 2024, 2025 და 2026 წლის ინსტიტუციური ბიუჯეტები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ბიუჯეტი.	- კოლეჯის 2024 წლის ინსტიტუციური ბიუჯეტი; - კოლეჯის 2025 წლის ინსტიტუციური ბიუჯეტი; - კოლეჯის 2026 წლის ინსტიტუციური ბიუჯეტი; - კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N26 ბრძანება დაწესებულების 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება ბიუჯეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ინფორმაცია განმცხადებელთა შესახებ: დირექტორის მოადგილე და სასწავლო პროცესის მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული განათლების მასწავლებელი (მოდული - მეწარმეობა); პროფესიული განათლების მასწავლებელი (მოდული - ინფორმაციული წიგნიერება); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ფარმაცია (სააფთიაქო) ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სტუდენტური სერვისებისა და კარიერის განვითარების მენეჯერი; პროფესიული განათლების მასწავლებელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საბაჟო საქმე); საქმისწარმოების სპეციალისტი; პროფესიული განათლების მასწავლებელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი); ფარმაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო); მენეჯერი; პროფესიული განათლების მასწავლებელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 23 მარტის NMES 0 26 0000346635 კორესპოდენციით წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 მარტის № 80-N83 ბრძანებებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. დაწესებულება არგუმენტირებული პოზიიცით იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებს, თუმცა შესაბამისობის გეგმის აქტივობებში არ აქვს გაწერილი 4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული აქტივობები, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოცემული ინდიკატორი შეეფასებინა მეტწილი შესაბამისობით. ვრცლად იხილეთ შესაბამისი პუნქტების აღწერა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საბაჟო საქმე	40	39	3	1
ფარმაცია (სააფთიაქო)	60	60	6	1
აღმზრდელი	50	52*	1	0
საექთნო განათლება	75	67	20	5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ბუღალტრული აღრიცხვა	50	49	3	0

*** აღმზრდელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქვოტის გადაჭარბება განპირობებულია რეიტინგულ სიაში 3 თანაბარი ქულით არსებული აპლიკანტებით.**

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	----------	*არ ექვემდებარება შეფასებას*
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	----------	*არ ექვემდებარება შეფასებას*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4) ადამიანური რესურსები	----------	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	----------	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	----------	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	----------	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	----------	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საექთნო განათლება	----------	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი IV არ არის დაკმაყოფილებული და შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“ რადგან:

ინდიკატორი 4.1.2.3 არ არის დაკმაყოფილებული. პერსონალის კვალიფიკაცია ბიბლიოთეკარის პოზიციის შემთხვევაში, არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 მარტის № 81 ბრძანებით დამტკიცებულია “შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა”. გეგმის აქტივობები განსაზღვრულია შემდეგი კომპონენტების დასაკმაყოფილებლად: N1 - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 კომპონენტის ინდიკატორი 4.1.2.1 - კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, კოლეჯის მარეგულირებელ ნორმათა ნაწილი არათანმიმდევრული ხასიათისაა; N2 - ინდიკატორი 4.1.2.4 კოლეჯში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნებამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; N3 - ინდიკატორი 4.2.1.1 კოლეჯი არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარებისსაჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული; N4 - ინდიკატორი 4.2.1.2 . პერსონალის განვითარება არ ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისადშემუშავებული გეგმის მიხედვით. დაწესებულების მიერ გეგმაში მოცემული სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში გაწერილ აქტივობებში არ არის განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმეების რევიზია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება, ან სხვა რაიმე აქტივობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უზრუნველყოფდა **4.1.2.3** ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მე-10 გვერდზე ვკითხულობთ დაწესებულების შემდეგ შეფასებას - "……..აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ <u>პერსონალის ფორმალური კვალიფიკაციის მიუხედავად,</u> ბიბლიოთეკის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, ფუნქციონირება მაღალ დონეზეა ორგანიზებული და სტუდენტებისთვის მომსახურების გაწევის ხარისხი არ გაუარესებულა." ასევე, "ამასთანავე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ დაწესებულებაში დასაქმებული <u>დანარჩენი პერსონალის</u> კვალიფიკაცია სრულად და უხარვეზოდ შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს, რაც თავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული მოკვლევითაც დასტურდება. შესაბამისად, <u>ბიბლიოთეკარის პოზიციაზე გამოვლენილი შეუსაბამობა</u> ატარებს მხოლოდ ერთეულ, ლოკალურ ხასიათს და იგი არ უნდა იქნას განხილული როგორც მართვის სისტემური ხარვეზი", დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში არ არის განსაზღვრული არც ერთი აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს **4.1.2.3** ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ბიბლიოთეკარის პირად საქმეში არ იყო განთავსებული არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა დასაქმებულის კომპეტენციას ბიბლიოთეკის პროცედურების ფლობის ნაწილში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნის - **ამონარიდი ბიბლიოთეკის სამუშაო და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან: პუნქტი V. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: დასაქმებულს ამ თანამდებობაზე მოეთხოვება: კვალიფიკაცია/კომპეტენცია - <u>ბიბლიოთეკის პროცედურების, წიგნის შენახვა,</u>** შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით დაწესებულება შეეფასებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების**" მე-40 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისად, დაწესებულება შეფასდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან". აქვე, განვმარტავთ, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა შეფასებისას კოლეჯის ბიბლიოთეკის არაეფექტური ფუნქციონირება არ გამოვლენილა, დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა დასაქმებულის პირადი საქმე მოეყვანა შესაბამისობაში მოთხოვნებთან, დასაქმებულს წარმოედგინა ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მტკიცებულება (მაგალითად, იმ პროფესიული მოდულების გავლის დადამადასტურებელი ცნობა, რომელთა სწავლის შედეგები თავსებადი იყო <u>ბიბლიოთეკის პროცედურების</u> შესრულებასთან), დასაქმებულის რეზიუმე შევსებულიყო სრულყოფილად და წარმოდგენილიყო ცნობა ბიბლიოთეკარის მოვალეობების შესრულების გამოცდილების შესახებ, რაც აღნიშნულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ან/და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი I მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:

ინდიკატორი 1.2.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.
დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N80 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის I სტანდარტის 1.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - ავტორიზაციის I სტანდარტი 1.2 კომპონენტის ინდ. 1.2.2.3: სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, <u>გაუმჯობესების აქტივობა N1</u> – 1. საქმისწარმოების შიდა რეგულაციის განახლება, სადაც მკაფიოდ გაიწერება - წლიური ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის პროცესი, გზები და პასუხისმგებელი პირ(ი)ები, შესრულების პროცესის მონიტორინგის პერიოდულობა.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 1 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველი სტანდარტის **1.2.2.3** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

სტანდარტი III მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:

ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა დარღვეულია:

1. **პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები -** *პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა;*

2. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 02/07/2021 N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები -** *გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის“ მუხლი 10. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები, პ. 2 (გ) -) კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტი (საჭიროების შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი), კოლეჯის დირექტორის აქტით განსაზღვრულ ვადაში, კოლეჯს წარუდგენს: გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან ცნობას განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის შესახებ. აპლიკანტმა, რომელმაც უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღო განათლება, უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ.**

ინდიკატორის 3.1.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პროფესიული სტუდენტები ნაკლებად იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N83 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის III სტანდარტის 3.1 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის III სტანდარტის 3.1 კომპონენტი, ინდიკატორი 3.1.1.1 - კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონითგათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა მიუხედავად ამისა იკვეთება მათი პრაქტიკული იმპლემენტაციისა და ადმინისტრირების გამოწვევები კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და სპეციფიკური დოკუმენტაციის, რიგ შემთხვევებში პროცედურების ეფექტური კონტროლის საჭიროება (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის 3-თვიანი ვადა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება), <u>გაუმჯობესების აქტივობა N1</u> – 1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის პროცესის (3 თვიანი ვადა) მონიტორინგის მიზნებისთვის, კოლეჯის შიდა რეგულაციაში (ჩარიცხვის წესი) შევა ცვლილება, კერძოდ - საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ დოკუმენტების პირველადი მიღების შემდეგ, მიმღები კომისია (იურისტი) შეისწავლის აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილ განცხადებებს, მოამზადებს და დირექტორს წარუდგენს პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა სიას, შესაბამისი დასაბუთებით, კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში, სადაც მიეთითება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის 3(სამ) თვიანი ვადის გასვლის თარიღი. 2. ჩარიცხვის შიდა რეგულაციაში გაიწერება და სავალდებულოდ, თითოეული (საჭიროების შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განთავსდება „ინფორმირებული თანხმობის ფურცელი“, სადაც პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ ინფორმირებულია 3-თვიანი ვადის შესახებ და იცის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის რისკი. 3. ჩარიცხვის წესის ცვლილება - სრული ჰარმონიზაცია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, წესს დაემატება ჩანაწერი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული განათლების აღიარების სპეციფიკური პროცედურის შესახებ, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აღიარებული დოკუმენტის სავალდებულოობას; <u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - ინდიკატორი 3.1.1.2 - პროფესიული სტუდენტები ნაკლებად იცნობენ და იყენებენმათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, <u>გაუმჯობესების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქტივობა N2 – კოლეჯის შიდა რეგულაციაში - ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი" შევა ცვლილება, სადაც აისახება ახალჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა გარემოსთან ადაპტაციისა და მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის უფლებების გაზიარებასთან დაკავშირებული პროცედურები. აისახება ინფორმაცია გაზიარების პროცესისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ. ჩატარდება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საინფორმაციო შეხვედრების ციკლი, კოლეჯი დაბეჭდავს საინფორმაციო ტიპის გზამკვლევს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერიინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ და მიეწოდებათ, როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონულად (საჭიროების შემთხვევაში).

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე (გარდა პირველი აქტივობის მესამე ქვეაქტივობისა, რომლის განხორციელბის ვადა არის 1 თვე), რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-3 სტანდარტის **3.1.1.1 და 3.1.1.2** ინდიკატორები შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

სტანდარტი IV არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:

ინდიკატორი 4.1.2.3 არ არის დაკმაყოფილებული. პერსონალის კვალიფიკაცია ბიბლიოთეკარის პოზიციის შემთხვევაში, არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 4.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, დაწესებულების პროცესების მარეგულირებელი აქტ(ებ)ი შესაბამისობაში უნდა იყოს დაწესებულების სპეციფიკასა და პროცესებთან, არ იყოს ურთიერთგამომრიცხავი და ატარებდეს თანმიმდევრულ ხასიათს.

ინდიკატორი 4.1.2.4 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული.

ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. პერსონალის განვითარება არ ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: იდენტიფიცირებული პრობლემა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის ინდიკატორი 4.1.2.1 - კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, კოლეჯის მარეგულირებელ ნორმათა ნაწილი არათანმიმდევრული ხასიათისაა, გაუმჯობესების აქტივობა N1 - 1. კოლეჯის მიერ განხორციელდება მარეგულირებელი აქტების რევიზია - გადაიხედება და შეიცვლება შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკა, რათა შიდა რეგულაციები ქმნიდეს ერთიან, თანმიმდევრულ ხასიათს; 2. საკადრო ბრძანებების სტანდარტიზაცია: გადაიხედება და განახლდება დირექტორის საკადრო ბრძანებების შაბლონები, სადაც წინასწარ იქნება განსაზღვრული სავალდებულო სამართლებრივი რეკვიზიტები. სავალდებულო წესით განისაზღვრება, რომ თითოეულ ბრძანებას ჰქონდეს ზუსტი სამართლებრივი საფუძველი (საქართველოს შრომის კოდექსისა და კოლეჯის შიდა აქტების შესაბამისი მუხლების მითითებით); 3.ბრძანებებს დაემატება და პირად საქმეში გათავსდება მატერიალური საფუძვლები (მაგ.: პერსონალის განცხადება, თანხმობა დანიშვნის შესახებ. სამსახურებრივი ბარათი და სხვ.), რაც უზრუნველყოფს თითოეული საკადრო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას; იდენტიფიცირებული პრობლემა - ინდიკატორი 4.1.2.4 კოლეჯში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნებამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, გაუმჯობესების აქტივობა N2 - კოლეჯის დებულებასა და პერსონალის მართვის პოლიტიკაში დაზუსტდება, მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის მნიშვნელობა და საშუალებები, კერძოდ, ნებისმიერი სიახლის დაგეგმვა, რეგულაციების შემუშავება, სამოქმედო გეგმები, ანგარიშებისა და გადაწყვეტილებების ფორმირება განხორციელდება ფართო ჩართულობით, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (კომპეტენციის ფარგლებში); იდენტიფიცირებული პრობლემა - ინდიკატორი 4.2.1.1 კოლეჯი არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარებისსაჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული, გაუმჯობესების აქტივობა N3 - განცხორციელდება პერსონალის შეფასების წესის გადახედვა/ განახლება პერსონალის საქმიანობის შეფასების ციკლის განხორციელება (შეფასება/ანალიზი/გაზიარება/შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა); ინდიკატორი 4.2.1.2 . პერსონალის განვითარება არ ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისადშემუშავებული გეგმის მიხედვით, გაუმჯობესების აქტივობა N4 - განხორციელდება პერსონალის საჭიროებების კომპლექსური კვლევა, კვლევის ანალიზის საფუძველზე განხორციელდება პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის კორექტირება.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე (გარდა პირველი აქტივობისა, რომლის განხორციელბის ვადა არის 1 თვე), რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-4 სტანდარტის **4.1.2.1, 4.1.2.4, 4.2.1.1, 4.2.1.2** ინდიკატორები შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

სტანდარტი V მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან:

ინდიკატორი 5.2.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი ელექტრონული საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. თუმცა, პრაქტიკაში არასრულად გამოიყენება;

ინდიკატორი 5.2.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულება არასრულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანას.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N82 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა -</u> ინდიკატორი 5.2.2.1 კოლეჯში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი ელექტრონული საქმისწარმოების წესი, <u>გაუმჯობესების აქტივობა N1</u> - კოლეჯის შიდა რეგულაციის - საქმისწარმოების წესის ცვლილება, კერძოდ წესში აისახება და გაიწერება ელექტრონული საქმისწარმოების მექანიზმები; <u>იდენტიფიცირებული პრობლემა -</u> ინდიკატორი 5.2.2.2 კოლეჯში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა, პრაქტიკაში არასრულად გამოიყენება, <u>გაუმჯობესების აქტივობა N2</u> - პერსონალის შიდა ტრენინგი ელექტრონული სისტემის სრულფასოვნად ასათვისებლად; <u>იდენტიფიცირებული პრობლემა -</u> ინდიკატორი 5.2.2.3 კოლეჯი არასრულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანას, <u>გაუმჯობესების აქტივობა N3</u> - კოლეჯის, რეესტრის წარმოების წესში განხორციელდება ცვლილება, კერძოდ ინფორმაციის შეტანა დადასტურდება ფორმალური უკუკავშირით. დაინერგება ინფორმაციის მიწოდების წესი: კოლეჯის საქმისწაროების სპეციალისტი (ელ-ფოსტით) აწვდის ინფორმაციას რეესტრის წარმოების სპეციალისტს. კომუნიკაციის დადასტურება: ადმინისტრატორი ვალდებულია, მონაცემების სისტემაში ასახვისთანავე, საპასუხო შეტყობინებით დაუდასტუროს მომწოდებელს შესრულება. ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღეს, რეესტრის წარმოების სპეციალისტი და საქმისწარმოების სპეციალისტი ახორციელებენ მონაცემთა შეჯერებას. ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-5 სტანდარტის **5.2.2.1; 5.2.2.2; 5.2.2.3** ინდიკატორები შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

I სტანდარტი

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, *თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დაწესებულებამ სავალდებულოდ უზრუნველყოს წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება (კვარტალური ან წელიწადში არანაკლებ ორჯერ), რაც უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, იმის დადგენას, თუ როგორ მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობების შესრულება, ხოლო გამოწვევების შემთხვევაში, დაწესებულებამ შეძლოს გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება.*

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სავალდებულოდ განსაზღვროს გარე პირთა ჩართულობა, იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.*

ინდიკატორის 1.2.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების ხელმძღვანელმა უზრუნველყოს სამოქმედო (მომავალში ასევე სტრატეგიული) გეგმის შედეგების შეფასებაში დაინტერესებული პირების მონაწილეობა და შედეგების საჯაროობა.*

III სტანდარტი

ინდიკატორის 3.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, *თუმცა რეკომენდებულია: 1. პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სწავლის საფასურთან დაკავშირებული საშეღავათო პირობები (რა შემთხვევაში აქვს სტუდენტს ისარგებლოს შეღავათით) და მისი გაცემის წესი. 2.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მხოლოდ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ.

IV სტანდარტი

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაკმაყოფილების გამჭვირვალე მექანიზმები* **.**

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აწარმოონ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიო, სადაც განთავსდება მოდული, კალენდარული გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი შეფასების მტკიცებულებები და სხვა მასალები მასწავლებლის შეხედულებისამებრ, აღნიშნული უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის შეფასებას და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, ასევე პორტფოლიო გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნებისათვის.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 23 მარტის MES 0 26 0000346635 კორესპოდენტციით წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N80; N81; N82 და N83 ბრძანებები ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის გეგმების დამტკიცების შესახებ. დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებს, დაწესებულების განვითარების შესაძლებლობად მიიჩნევს ექსპერთა მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

კოლეჯში მოქმედებს შპს „ნიუ მეჯიქის“ დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N83 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს კოლეჯის პოლიტიკის, მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-მონიტორინგის მეთოდოლოგიას. პოლიტიკის მე-2 და მე-3 თავები განიხილავს სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგი-განვითარების პროცედურებს. სტრატეგიული დაგეგმვა კოლეჯში მიმდინარეობს ორ ეტაპად, 1-ლი ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, დამტკიცებას, გაზიარებასა და საჯაროობის უზრუნველყოფას, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავს სამოქმედო გეგმის შემუშავებას, დამტკიცებას, გაზიარებას საჯაროობის უზრუნველყოფას. კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვისას იყენებს SWOT ანალიზის მეთოდს. დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა მეთოდოლოგია შესაბამისი დასაბუთებით.

დაწესებულების რეგულაციის მიხედვით - სტრატეგიული გეგმა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის/თემის/რეგიონისა და დაინტერესებული პირების მოლოდინისკენ და უნდა გამომდინარეობდეს მისიის, ხედვისა და ღირებულებებისგან. სტრატეგიული გეგმა დგება 7 წლიანი პერიოდით და მოიცავს არაუმეტეს 7 მიზანს. სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნები უნდა იყოს მიღწევადი, ამოცანები ისე უნდა იყოს გაწერილი, რომ უზრუნველყოფდეს მისიის მიღწევას, გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ამოცანების შესრულების ვადებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს კოლეჯის ერთწლიანი, სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის 1 წლის განმავლობაში გადასაჭრელი ამოცანები/განსახორციელებელი ქმედებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს შეიმუშავებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შეხვედრებზე თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოწვევას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის შესაძლებლობასაც, მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. უკუკავშირის მიღება შესაძლებელია როგორც ელ. ფოსტით, ისე კომუნიკაციის სხვა არხებით. შეჯერებული სტრატეგიული გეგმის პროექტს დირექტორი ათანხმებს დამფუძნებლებთან. დამფუძნებლების მხრიდან შენიშვნების/უკუკავშირის არსებობის შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი გეგმაზე მუშაობას აახლებს. ანალოგიური პრინციპით ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავებაც.

კოლეჯი უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობას, კერძოდ: 1. თანამშრომლებს ეცნობებათ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე შესაძლებელია მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით დამატებითი აქტივობების განხორციელებაც, 2. შესაძლებელია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის დაინტერესებული პირებისთვის საჯაროდ წარდგენა სპეციალურ მიღებებზე, მედიის ან/და ელ. ფოსტის საშუალებით, 3. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა განთავსებულია ვებ. გვერდზე.

კოლეჯი უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის პერიოდულ შეფასებას. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება იწარმოებს წელიწადში ერთხელ, მეოთხე კვარტლის ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება მისი შესრულების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოში. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით იწარმოება შესრულების შეფასება, შეფასებას აკეთებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარადგენს შუალედურ ანგარიშს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშები შესაძლოა გაუზიარდეს დაინტერესებულ პირებს ელ. ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა არსების საშუალებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, *თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დაწესებულებამ სავალდებულოდ უზრუნველყოს წლიური სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება (კვარტალური ან წელიწადში არანაკლებ ორჯერ), რაც უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, იმის დადგენას, თუ როგორ მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობების შესრულება, ხოლო გამოწვევების შემთხვევაში, დაწესებულებამ შეძლოს გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

კოლეჯი სარგებლობს დირექტორის 2022 წლის 7 დეკემბრის N8 ბრძანებით დამტკიცებული 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით (შევიდა ცვლილება დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N49 ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, კოლეჯი ხელმძღვანელობდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის პირველადი ვერსიით, რომელიც დამტკიცებული იყო კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 ნოემბრის N7 ბრძანებით, რომელიც ითვალისწინებდა გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნას, სამუშაო პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვას.

დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრის ოქმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვებზე დასწრების ფურცლები. მტკიცებულების სახით ასევე წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ დაინტერესებული მხარეებისათვის ელექტრონული მიმოწერის "ფოტოები". ერთ-ერთი ოქმი (N 3) ადასტურებს, რომ სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვას ესწრებოდნენ პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები: ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი; სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი; ბათუმის სამედიცინო ცენტრის დირექტორი; ავერსი - ფარმას გენერალური დირექტორი და სს გეფას წარმომადგენელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სავალდებულოდ განსაზღვროს გარე პირთა ჩართულობა, იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.*

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულების მისიაა: *„მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; კონკურენტუნარიანი, პროფესიული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება აჭარის რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით; საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული მრავალფეროვანი სერვისების გაწევა; პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა".* კოლეჯის სტრატეგიული მიზანი 1: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარება - ეხმიანება კოლეჯის მისიას, ხაზს უსვამს მის მრავაპროფილურობას, ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, სტრატეგიული მიზანი 2. სტუდენტური სერვისების განვითარება - მიმართულია კონკურენტუნარიანი, პროფესიული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებისკენ, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული მრავალფეროვანი სერვისების გაწევისკენ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობისკენ, ხოლო სტრატეგიული მიზანი 3. მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება მიზნად ისახავს კოლეჯში ისეთი გუნდის შენარჩუნებას, მათ განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მის მიერ დასახული მიზნებისა და მისიის მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

სტრატეგიულ გეგმაში **პირველ** მიზანთან მიმართებით, დაწესებულების მიერ დასახული ერთ-ერთი ამოცანაა ახალი პროფესიული პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრისა და ეკონომიკური სექტორის მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული ამოცანის შესრულებისათვის დაწესებულება განისაზღვრავს პერიოდს 2024-2027 წლების განმავლობაში, განსახორციელებელ ქმედებებად განსაზღვრავს შრომის ბაზრის საჭიროებების დადგენას და ახალი პროგრამების განხორციელებაზე დაკვირვებას და განვითარების უზრუნველყოფას. შესრულების მაჩვენებლად კი ადგენს შრომის ბაზრის ტენდენციებს, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ანალიზსა და რეკომენდაციებს, კოლეჯის წლიურ ანგარიშებს, ხოლო მოსალოდნელ შედეგებად განიხილავს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

მეორე სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანაა პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება, რომელსაც დაწესებულება გეგმავს რომ განახორციელოს მუდმივ რეჟიმში, განსახორციელებელი ქმედებაა სტუდენტების გარე მხარდაჭერა ახალი ინფორმაციითა და ახალი კავშირებით მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. შესრულების კრიტერიუმებია სტუდენტთა კონსულტაციის სამსახურების წლიური ანგარიში, სტუდენტური გამოკითხვები, საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი მასალები, მოსალოდნელი შედეგები კი სტუდენტთა კმაყოფილება მხარდამჭერი და სტუდენტთა კონსულტაციების სამსახურებისადმი.

შინაარსობრივად, კოლეჯის მიერ დასახულ მიზნებთან შესრულების ამოცანები, კრიტერიუმები, განხორციელების პერიოდი და მოსალოდნელი შედეგები არის ლოგიკურ ბმაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 2026 წლის სამოქმედო გეგმაში (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N4 ბრძანებით) გათვალისწინებულია განსახორციელებელი აქტივობები, პერიოდი (გადანაწილებულია 12 თვეზე), პასუხისმგებელი პირები, შემსრულებლები, შესრულების ინდიკატორი და საჭირო ფინანსური რესურსი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 და 2024 წლის სამოქმედო გეგმებიც, რომელიც ასევე ითვალისწინებს დაგეგმილი აქტივობის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N17 „შპს ნიუ მეჯიქის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობისა და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“;
2. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N4 ბრძანება „კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N88 ბრძანება „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

4. კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია;
5. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N95 ბრძანება „შპს ნიუ მეჯიქის 2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
6. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 07 დეკემბრის N8 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ნიუ მეჯიქის 7 წლიანი სტრატეგიულ განვითარების გეგმა (2023-2029წწ)“;
7. დაწესებულების დირექტორის მიერ 2026 წლის 13 თებერვალს პერსონალისთვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის გაზიარების მტკიცებულება (ელ.ფოსტით გაგზავნილი წერილი და მისი დანართი);
8. დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
9. დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
10. დაწესებულების 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
11. დაწესებულების 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
12. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N00003224 კორესპოდენციით (ეფლოუში რეგისტრირებული) წარმოდგენილი დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
13. დაწესებულების ცალკეული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ;
14. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
15. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.newmagic.ge/.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N83 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის პერიოდულ შეფასებას. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება იწარმოებს წელიწადში ერთხელ, მეოთხე კვარტლის ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება მისი შესრულების პერიოდში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოში. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით იწარმოება შესრულების შეფასება, შეფასებას აკეთებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარადგენს შუალედურ ანგარიშს.

დაწესებულების საქმის მასალებში წარმოდგენილია 2026 წლის 16 იანვრის N00003224 კორესპონდენცია კოლეჯის პერსონალისთვის დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენის შესახებ. ანგარიშში სამოქმედო გეგმის მიხედვით ჩაშლილია თითოეული ამოცანა და მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი აქტივობის შესრულების/ვერ შესრულების თაობაზე, რომელიც შეესაბამება კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგიის მიხედვით, დირექტორის მოადგილე, ამ შემთხვევაში კი მოვალეობის შემსრულებელი ნამდვილად არის პასუხისმგებელი სამოქმედო გეგმის მონიტორინგზე, თუმცა შეფასება უნდა განხორციელებულიყო სამუშაო ჯგუფის მიერ. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, რასაც ადასტურებს ასევე წარმოდგენილი ანგარიშის დასკვნითი ნაწილი, დაწესებულებამ 2025 წლის ბოლოს განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, შეიცვალა რამდენიმე ფუნდამენტური პროცედურა, რის გამოც, დაწესებულება, ფაქტობრივად ახლიდან იწყებს ხარისხის სისტემის დანერგვას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2025 წლის ბოლომდე, დაწესებულების თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს ჰქონდა თავისი სამუშაო გეგმა და წლის განმავლობაში წარუდგენდა ანგარიშებს დირექტორს. საქმის მასალებშია 2024 წლის სამუშაო გეგმები და ანგარიშები. ანგარიშები შესრულებულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის მიერ ინდივიდუალურად, ნარატივის სახით. ანგარიშებში იკითხება დაწესებულების ზოგადი მიღწევები წლის განმავლობაში, ასევე წარმოდგენილია 2024 წლის სამოქმედო გეგმა. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ანგარიშში წარდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია კოლეჯის ადმინისტრაციისთვის, კერძოდ ტექნიკის განახლების გეგმის შემუშავების აუცილებლობა, სერვერის და ქსელური ინფრასტრუქტურის დანერგვა, ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა, კომპიუტერული ტექნიკის სრული ინვენტარიზაცია. აღნიშნული რეკომენდაციები გარკვეულწილად ასახულია 2025 წლის სამოქმედო გეგმაში, მაგალითად აქტივობა 4.1 - კოლეჯის არსებული პროგრამებისთვის საჭირო რესურსის დამატება/ჩანაცვლება.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს, როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, 2025 წლამდე აღნიშნული არ ხორციელდებოდა ერთიანი ფორმით, თუმცა 2025 წლის შემდეგ ამ პროცესს სისტემური ხასიათი ექნება. ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 2026 წლისთვის, რაც შესაბამისობაშია კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან.

ამ ეტაპისთვის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით, შეფასების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობა არ ჩანს, თუმცა შეფასების შედეგები და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა გაზიარებულია კოლეჯის პერსონალისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების ხელმძღვანელმა უზრუნველყოს სამოქმედო (მომავალში ასევე სტრატეგიული) გეგმის შედეგების შეფასებაში დაინტერესებული პირების მონაწილეობა და შედეგების საჯაროობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N83 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, კერძოდ მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს მოწოდებულ ანგარიშებს და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილების პროცესი მიმდინარეობს მეთოდოლოგიის მესამე თავის (კოლეჯის პოლიტიკის და სტრატეგიული დაგეგმვის გადახედვა/განვითარება) შესაბამისად. კოლეჯი სამოქმედო გეგმას/სტრატეგიული განვითარების გეგმას გადახედავს სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, შესაბამისი გეგმის შემუშავებისთვის ამავე პროცედურით დადგენილი წესით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2025 წლის ბოლომდე, დაწესებულების თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს ჰქონდა თავისი სამუშაო გეგმა და წლის განმავლობაში წარუდგენდა ანგარიშებს დირექტორს. საქმის მასალებშია 2024 წლის სამუშაო გეგმები და ანგარიშები. ანგარიშები შესრულებულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის მიერ ინდივიდუალურად, ნარატივის სახით. ანგარიშებში იკითხება დაწესებულების ზოგადი მიღწევები წლის განმავლობაში, ასევე წარმოდგენილია 2024 წლის სამოქმედო გეგმა. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ანგარიშში წარდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია კოლეჯის ადმინისტრაციისთვის, კერძოდ ტექნიკის განახლების გეგმის შემუშავების აუცილებლობა, სერვერის და ქსელური ინფრასტრუქტურის დანერგვა, ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა, კომპიუტერული ტექნიკის სრული ინვენტარიზაცია. აღნიშნული რეკომენდაციები გარკვეულწილად ასახულია 2025 წლის სამოქმედო გეგმაში, მაგალითად აქტივობა 4.1 - კოლეჯის არსებული პროგრამებისთვის საჭირო რესურსის დამატება/ჩანაცვლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დაწესებულებას არ აქვს უზრუნველყოფილი წლიური სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობა, ანგარიშები არ არის განთავსებული კოლეჯის ვებგვერდზე. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N88 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს გეგმებისა და მათი ანგარიშების საჭიროების შემთხვევაში საჯაროდ გაცნობას, მათ შორის ვებ. გვერდზე განთავსებას, დაინტერესებულ მხარეებთან განხილვას, ელ. ფოსტით გაგზავნას ან/და კომუნიკაციების სხვა მეთოდებით გაცნობას. საქმის მასალებშია ასევე დასაქმებულთა ხელმოწერების ფურცელი, რომელიც ადასტურებს მათ მიერ 2025 წლის სამოქმედო გეგმის გაცნობას. ინდიკატორის მიზნებიდან გამომდინარე, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის მეტი გამჭვირვალობისა და მოქნილობისთვის, დაწესებულებამ სავალდებულოდ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის ანგარიშების საჯაროობა.

ინდიკატორი 1.2.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N80 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის I სტანდარტის 1.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვითაც განსაზღვრულია: იდენტიფიცირებული პრობლემა - ავტორიზაციის I სტანდარტი 1.2 კომპონენტის ინდ. 1.2.2.3: სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, გაუმჯობესების აქტივობა N1 – 1. საქმისწარმოების შიდა რეგულაციის განახლება, სადაც მკაფიოდ გაიწერება - წლიური ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის პროცესი, გზები და პასუხისმგებელი პირ(ი)ები, შესრულების პროცესის მონიტორინგის პერიოდულობა.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 1 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველი სტანდარტის **1.2.2.3** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N17 „შპს ნიუ მეჯიქის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობისა და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“;
2. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N4 ბრძანება „კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N88 ბრძანება „კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;
4. კოლეჯის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია;
5. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N95 ბრძანება „შპს ნიუ მეჯიქის 2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
6. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 07 დეკემბრის N8 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ნიუ მეჯიქის 7 წლიანი სტრატეგიულ განვითარების გეგმა (2023-2029წწ)“;
7. დაწესებულების დირექტორის მიერ 2026 წლის 13 თებერვალს პერსონალისთვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის გაზიარების მტკიცებულება (ელ.ფოსტით გაგზავნილი წერილი და მისი დანართი);
8. დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო გეგმა;
9. დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
10. დაწესებულების 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
11. დაწესებულების 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
12. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N00003224 კორესპოდენციით (ეფლოუში რეგისტრირებული) წარმოდგენილი დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

13. დაწესებულების ცალკეული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ;
14. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
15. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.newmagic.ge/.
16. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N80 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის I სტანდარტის 1.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის N22 ბრძანებით დამტკიცებულია **„შპს ნიუ მეჯიქის პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“**. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, თანაბარ პირობებში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში, გამოხატოს თავისი აზრი, მიიღოს ფინანსური ან მატერიალური დახმარება და სხვა. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული აქვს **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“**, რომელიც არეგულირებს პროფესიულის სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურებს, მობილობით სარგებლობის წესს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს, აღწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები. შუალედური და განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების წესები. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“,** რომელიც არეგულირებს ისეთ პროცედურებს, როგორიცაა: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება; აპლიკანტთა კონსულტირება, მიმღები ჯგუფის მუშაობა; აპლიკანტის რეგისტრაცია; აპლიკანტთა შერჩევა; უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულ იმ აპლიკანტთა შეფასება, რომელთაც უფლება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხონ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გარეშე; კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღები; კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაში აპლიკანტის მონაწილეობის წესი; კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების ფარგლებში, შერჩევის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების შედეგების ასახვა; კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების ფარგლებში, შერჩევის ეტაპთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის წესი; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა პირველადი რეიტინგული სიების შედგენა; მისაღები ადგილების გაზრდა; აპლიკანტთა საბოლოო რეიტინგული სიების დამტკიცება; ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები; კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი; მიმღები კომისიის ოქმი, ჩასარიცხ პირთა სია; პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა; ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები; კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმება.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასების შედეგები. სტუდენტი შედეგების გაცნობიდან მეორე დღეს მიმართავს კოლეჯის დირექტორს შესაბამისი განცხადებით, რის საფუძველზეც იქმნება სააპელაციო კომისია. კომისია 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველი შესაძლოა გახდეს სტუდენტის მობილობა, სტატუსის აღდგენა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების შედეგად. კოლეჯი ვალდებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართოს პროფესიული სტუდენტი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი. მობილობით მოსარგებლე და სტატუს აღდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს კომისია 7 დღის ვადაში, ხოლო გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. მარეგულირებელი წესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერდზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების შესწავლის, ასევე მათთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სტუდენტს პირად საქმეში არ უდევს სრული ზოგადი განათლების ან/და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც აუცილებელია მე-5 დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის (იხ. დანართი N11, დანართი N17).

ინდიკატორი 3.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა დარღვეულია:

1. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები - *პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა;*

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 02/07/2021 N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები - *გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;*

3. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის“ მუხლი 10. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები, პ. 2 (გ) -) კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტი (საჭიროების შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი), კოლეჯის დირექტორის აქტით განსაზღვრულ ვადაში, კოლეჯს წარუდგენს: გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან ცნობას განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის შესახებ. აპლიკანტმა, რომელმაც უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღო განათლება, უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N83 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის III სტანდარტის 3.1 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის III სტანდარტის 3.1 კომპონენტი, ინდიკატორი 3.1.1.1 - კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონითგათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა მიუხედავად ამისა იკვეთება მათი პრაქტიკული იმპლემენტაციისა და ადმინისტრირების გამოწვევები კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილი ვადებისა და სპეციფიკური დოკუმენტაციის, რიგ შემთხვევებში პროცედურების ეფექტური კონტროლის საჭიროება (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის 3-თვიანი ვადა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება), <u>გაუმჯობესების აქტივობა N1</u> – 1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის პროცესის (3 თვიანი ვადა) მონიტორინგის მიზნებისთვის, კოლეჯის შიდა რეგულაციაში (ჩარიცხვის წესი) შევა ცვლილება, კერძოდ - საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ დოკუმენტების პირველადი მიღების შემდეგ, მიმღები კომისია (იურისტი) შეისწავლის აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილ განცხადებებს, მოამზადებს და დირექტორს წარუდგენს პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა სიას, შესაბამისი დასაბუთებით, კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში, სადაც მიეთითება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის 3(სამ) თვიანი ვადის გასვლის თარიღი. 2. ჩარიცხვის შიდა რეგულაციაში გაიწერება და სავალდებულოდ, თითოეული (საჭიროების შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განთავსდება „ინფორმირებული თანხმობის ფურცელი“, სადაც პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ ინფორმირებულია 3-თვიანი ვადის შესახებ და იცის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის რისკი. 3. ჩარიცხვის წესის ცვლილება - სრული ჰარმონიზაცია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, წესს დაემატება ჩანაწერი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული განათლების აღიარების სპეციფიკური პროცედურის შესახებ, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აღიარებული დოკუმენტის სავალდებულოობას.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე (გარდა პირველი აქტივობის მესამე ქვეაქტივობისა, რომლის განხორციელების ვადა არის 1 თვე), რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-3 სტანდარტის **3.1.1.1** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის N 22 ბრძანებით დამტკიცებული **„შპს ნიუ მეჯიქის პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების“** შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებს, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ეცნობებიათ კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. კოლეჯში ადგილზე ვიზიტის პერიოდში, ასევე პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ მობილობით სარგებლობის გამოცდილება, ასევე, შექმნილი ვითარების ფონზე, კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვისა“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული განათლების სტუდენტებს მასობრივად აქვთ განცხადებები დაწერილი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ. აღნიშნული გარემოებები ერთი მხრივ ადასტურებენ იმას, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებს, თუმცა მეორე მხრივ, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად (ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც „საექთნო განათლების“, ისე იმ პროფესიული სტუდენტების ნაწილს, რომლებმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე დაწერეს განცხადებები. გასაუბრების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა სია დაწესებულებას წინასწარ მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ), პროფესიული სტუდენტების მიერ მათი უფლებების გააზრება არ იკვეთება, კერძოდ:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტებთან საუბრისას, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაისვა შეკითხვა - იმ შემთხვევაში, თუ მათ განცხადებაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას (ზოგიერთი პროფესიული განათლების მასწავლებლების ადმინისტრაციულ პოზიციებზე აღდგენა) კოლეჯი არ დააკმაყოფილებდა, რას მოიმოქმედებდნენ, პროფესიულ სტუდენტების პასუხები იყო არაერთგვაროვანი, მაგალითად, მობილობით სარგებლობა ან უბრალოდ არ იცოდნენ სამომავლოდ რას იზამდნენ. ზოგიერთმა პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ეს გარემოება უბრალოდ დამთხვევა იყო, მათთვის ამ მომენტისთვის მოკლევადიანი კურსების გავლა უფრო ეფექტური იქნებოდა.

იგივე პროფესიული სტუდენტები კითხვაზე, თუ რატომ აცდენდნენ მეცადინეობებს, პასუხობდნენ, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კოლეჯს ჰქონდა გარკვეული დრო მათი განცხადებების განსახილველად და მათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი ისევ აქტიური ჰქონდათ. ასევე, სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა გამოც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეიჩერეს, ჯერ ისევ იყვნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და ისინი ჩვეულებრივ ელოდებოდნენ მათ სწავლების განხორციელების მიზნით სასწავლო აუდიტორიებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა იმის შთაბეჭდილება, რომ პროფესიული სტუდენტები არასრულად იცნობენ მათ უფლებებს და არ აქვთ გააზრებული მათი გადაწყვეტილებები მაგალითად პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე. სამომავლოდ გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ პერიოდულად უნდა განახორციელოს შეხვედრა(ები) და უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული საკითხების, მათ შორის საქმისწარმოების ვადების გაცნობა (განცხადების წარდგენის, განხილვის ვადების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის, მობილობისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ), დამატებითი ინფორმაციის მიწოდება პროცესუალური საკითხების თაობაზე გამარტივებული და პროფესიული სტუდენტისთვის ადვილად აღქმადი ფორმით.

ინდიკატორის 3.1.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პროფესიული სტუდენტები ნაკლებად იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N83 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის III სტანდარტის 3.1 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა. რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - ინდიკატორი 3.1.1.2 - პროფესიული სტუდენტები ნაკლებად იცნობენ და იყენებენმათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, <u>გაუმჯობესების აქტივობა N2 </u>– კოლეჯის შიდა რეგულაციაში - ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი" შევა ცვლილება, სადაც აისახება ახალჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა გარემოსთან ადაპტაციისა და მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის უფლებების გაზიარებასთან დაკავშირებული პროცედურები. აისახება ინფორმაცია გაზიარების პროცესისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ. ჩატარდება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საინფორმაციო შეხვედრების ციკლი, კოლეჯი დაბეჭდავს საინფორმაციო ტიპის გზამკვლევს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერიინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ და მიეწოდებათ, როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონულად (საჭიროების შემთხვევაში).

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-3 სტანდარტის **3.1.1.2** ინდიკატორები შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემისა და შედეგების აპელაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია დაწესებულებას აღწერილი აქვს დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულ **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“** (მუხლები: 20-25), რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მიმდინარე სასწავლო პროცესში მონაწილე სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, ყველასთან დაისვა შეკითხვა, იცნობენ თუ არა შეფასების სისტემას, რა ფორმით მიეწოდათ მათ ეს ინფორმაცია.

პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მინიმუმ ერთი კვირით ადრე მაინც იციან სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მათ თავად პროფესიული განათლების მასწავლებლები აწვდიან. გარდა ამისა, მუდმივი აქვთ კომუნიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც მათ დეტალურად განუმარტავს შეფასებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. პროფესიული სტუდენტები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები მაქსიმალურად უწყობენ ხელს, აქვთ შედეგის დადასტურების გადაბარების საშუალებაც, რაც შეეხება აპელაციას, არ ჰქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ შეფასების გასაჩივრება გამხდარიყო საჭირო, თუმცა გასაჩივრება რომ შეუძლიათ, ამის შესახებ ინფორმაცია აქვთ. ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შედეგებს განზოგადებული სახით განიხილავს ჯგუფში, ხოლო კონკრეტულ შეფასებებს პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინდივიდუალურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო განათლება პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულების შაბლონი სტანდარტულია, მოიცავს ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სწავლის საფასურისა და მისი გადახდის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეჩერება/შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტის წესსა და სხვა დამატებით პირობებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ იცნობს მათ შინაარსს და ეთანხმება, ხოლო კოლეჯი იღებს ვალდებულებას, რომ მათი შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის ვებ გვერდზე ან/და კოლეჯის შენობაში საჯარო ადგილას გამოქვეყნებით (მუხლი 1.3). კოლეჯში საჯარო ადგილას ნამდვილად არის გამოქვეყნებული კოლეჯის შინაგანაწესი.

მხარეთა უფლება-მოვალეობების ნაწილში (მუხლი 2) აღწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები: მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი, სრულყოფილი საგანმანათლებლო მომსახურება, მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის სტუდენტურ საქმიანობაში, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მოითხოვოს მისი აღდგენა და სხვა. ხელშეკრულება ითვალისწინებს სწავლის პერიოდში საგანმანათლებლო მომსახურების საფასურს, წელიწადში 500 ლარის ოდენობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯში მოქმედებს შეღავათიანი პირობებიც. სტუდენტებს თავიანთი განცხადების საფუძველზე ეძლევათ საშუალება ისარგებლონ შეღავათით სწავლის საფასურზე. დაწესებულება ხსნის, რომ ვინაიდან კოლეჯი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, მისთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც ფარავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს, საჭიროა ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებაც, რის გამოც აუცილებელი გახდა პროფესიულ სტუდენტთა თანადაფინანსების მექანიზმების შემოღება. დაწესებულება ადასტურებს, რომ სხვა დამატებითი ხარჯისგან პროფესიული სტუდენტი აბსოლუტურად თავისუფალია. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა იმის მტკიცებულებები, რომ იგი ნამდვილად უწევს შეღავათს პროფესიულ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადასახადის ნაწილობრივ ან/და მთლიანად მოხსნის ნაწილში.

თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სწავლის საფასურთან დაკავშირებული საშეღავათო პირობები (რა შემთხვევაში აქვს სტუდენტს ისარგებლოს შეღავათით) და მისი გაცემის წესი.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესიც, რომელიც პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბოლო/უკანასკნელ ეტაპად მოიაზრებს ხელშეკრულების გაფორმებას, თუმცა პროფესიული სტუდენტების საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯს ზოგიერთ პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება წინ უსწრებს ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას. პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულება არის <u>პროფესიულ სტუდენტთან</u> გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც ეს სტატუსი მხოლოდ მას შემდეგ მიენიჭება, რაც დაწესებულება გამოსცემს ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას. სხვამხრივ, კოლეჯს არ აქვს უფლებამოსილება ხელშეკრულება გააფორმოს პირთან, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი არ აქვს მინიჭებული, ასევე დაამუშაოს ასეთი პირის პერსონალური მონაცემები ხელშეკრულების ვადით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული არ მოდის წინააღმდეგობაში ინდიკატორის მოთხოვნებთან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მხოლოდ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს არასრულწლოვანი სტუდენტები არ ჰყავს (ხუთივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა არის მე-5 დონის, რომელიც მოითხოვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას), ხელშეკრულების შაბლონი ითვალისწინებს არასრულწლოვან პირთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკას, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული არ არის.

პროფესიული სტუდენტის პირად საქმეებში ხელშეკრულებებთან ერთად დევს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციული ბარათიც, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვიდეო და აუდიო მონიტორინგის წარმოების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს პროფესიული სტუდენტიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნისნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, *თუმცა რეკომენდებულია: 1. პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული იყოს სწავლის საფასურთან დაკავშირებული საშეღავათო პირობები (რა შემთხვევაში აქვს სტუდენტს ისარგებლოს შეღავათით) და მისი გაცემის წესი. 2. დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მხოლოდ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ.*

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“** განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს, კერძოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძველი შესაძლოა გახდეს სტუდენტის მობილობა, სტატუსის აღდგენა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების შედეგად გამოვლენილი გარემოება. კოლეჯი ვალდებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართოს პროფესიული სტუდენტი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი. მობილობით მოსარგებლე და სტატუს აღდგენილი სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმას შეიმუშავებს კომისია 7 დღის ვადაში, ხოლო გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით.

დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა მხოლოდ ერთ პროფესიულ სტუდენტთან. პროფესიული სტუდენტი კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის N95 ბრძანების საფუძველზე გარე მობილობით ჩაირიცხა „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის მენეჯერის, მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც იყო სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი. წარმოდგენილია კომისიის სხდომის 2026 წლის 3 თებერვლის ოქმი. სხდომას ასევე ესწრებოდა პროფესიული სტუდენტიც. დღის წესრიგი: სტუდენტ ა.ნ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის შესწავლა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების საჭიროების დადგენა. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სტუდენტისთვის ისგ-ის დამტკიცება, რომელიც კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის N18 ბრძანებით დამტკიცებულია. საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია სტუდენტის მიერ საქმის მასალებისა და გადაწყვეტილების გაცნობის შესახებ აქტი, რომელსაც ხელს აწერს თავად პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის N22 ბრძანებით დამტკიცებული **„შპს ნიუ მეჯიქის პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები“**;
2. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული აქვს **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;**
3. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;**
4. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
5. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მტკიცებულებები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები;
7. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.newmagic.ge/
8. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N83 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის III სტანდარტის 3.1 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულების“ თანახმად, დაწესებულების მართვის ორგანოებია <u>დამფუძნებელი,</u> <u>დირექტორი</u> და <u>დირექტორის მოადგილე</u>. კოლეჯის ხელმძღვანელი პირი არის კოლეჯის <u>დირექტორი,</u> რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დამფუძნებელი.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურა. ხოლო კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საშტატო განრიგი. დაწესებულების სტრუქტურული და საშტატო ერთეულებია: დირექტორი (1 საშტატო ერთეული); დირექტორის მოადგილე (1 საშტატო ერთეული); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (1 საშტატო ერთეული); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ფინანსური მენეჯერი (1 საშტატო ერთეული); მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); სასწავლო პროცესის მენეჯერი (1 საშტატო ერთეული, დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვაკანტური იყო); სასწავლო პროცესის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი (1 საშტატო ერთეული, დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვაკანტური იყო); იურისტი (1 საშტატო ერთეული); სტუდენტური სერვისებისა და კარიერის განვითარების მენეჯერი (1 საშტატო ერთეული, დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვაკანტური იყო); საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი (1 საშტატო ერთეული); რეესტრის წარმოების სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); საქმისმწარმოებელი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ბიბლიოთეკარი (1 საშტატო ერთეული); არქივარიუსი (1 საშტატო ერთეული); შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ექთანი(1 საშტატო ერთეული) ; დარაჯი (1 საშტატო ერთეული); დამლაგებელი (1 საშტატო ერთეული), სულ 24 საშტატო ერთეული.

დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო ერთეულები გამომდინარეობს კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულებიდან“, სადაც გაწერილია სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებაში დაქვემდებარების სისტემა დელეგირებულია დირექტორსა და მის მოადგილეს შორის.

დაწესებულების პერსონალთან გაფორმებულია თანამდებობრივი ინსტრუქცია (უფლება-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი), რომელიც ხელმოწერილია დაწესებულების დირექტორისა და დასაქმებულის მიერ და განთავსებულია პერსონალის პირად საქმეში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულება“, სადაც გაწერილია სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულების პერსონალთან გაფორმებულია თანამდებობრივი ინსტრუქცია (უფლება-მოვალეობების აღმწერო დოკუმენტი).

საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რომელთა გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულება“, სადაც გაწერილია **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** ამოცანები და მოვალეობები, რომელიც შესაბამისობაში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წლიური სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულება“;
2. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის სტრუქტურა“;
3. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის საშტატო განრიგი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

4. დაწესებულების პერსონალთან გაფორმებული თანამდებობრივი ინსტრუქცია (უფლება-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი);
5. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
6. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობების გეგმა;
7. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.newmagic.ge/.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N42 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის შინაგანაწესი“, რომელიც არეგულირებს შრომითი ურთიერთობების პირობებს, სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დროებს, სამუშაოზე გამოცხადებისა და აღრიცხვის წესებს, შვებულება, მივლინება, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტის მექანიზმებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, წახალისებისა და დისციპლინური წარმოების მექანიზმებს, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების დებულებებს. დაწესებულების შრომის შინაგანაწესის დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლის ნორმებთან.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, სადაც განსაზღვრულია კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობა, ადამიანური რესურსის მოზიდვა, შერჩევა და დასაქმება, პერსონალის განვითარების პოლიტიკა, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული რიგი დებულებები არ შეესაბამება კოლეჯის სპეციფიკას - მაგალითად, მუხლი 2. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ, პუნქტი 4. კოლეჯი წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულებას, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ბათუმში, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს კოლეჯის აღნიშნულ სპეციფიკას“. - დაწესებულება არ ფუნქციონირებს ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტში. იგივე პოლიტიკის დოკუმენტის მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, პუნქტი 2. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის დაქვემდებარებაშია ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულებით“, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის სტრუქტურითა“ და დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის საშტატო განრიგით“ განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, ხოლო ამავე სამსახურში დასაქმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

დაწესებულებას პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს არსებით პირობებს, მათ შორის განსაზღვრულია ზეგანაკვეთურად მუშაობის ანაზღაურების საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, ასევე პერსონალთან შრომითი ურთიერთობის თაობაზე გამოცემული კოლეჯის დირექტორის ბრძანებები, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი:

1. ინგლისური ენის პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე მიღების მიზნით, პირმა განცხადება დაწერა 2026 წლის 27 იანვარს (კოლეჯის კანცელარიაში რეგისტრაციის მონაცემებია - N6, 27.01.2026), კოლეჯის დირექტორის რეზოლუცია განცხადების დაკმაყოფილების შესახებ გაფორმებულია 2026 წლის 27 იანვარს, განმცხადებელთან ერთი ხელშეკრულება გაფორმებულია 2026 წლის 15 იანვარს, ხოლო მეორე 2026 წლის 22 იანვარს (განთავსებული იყო პერსონალის პირად საქმეში), ხოლო პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო განრიგში ჩასმულია 2026 წლის 19 იანვრიდან. ასევე, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ცნობა, რომელიც დასაქმებულის პირად საქმეშია განთავსებული, თარიღდება 2021 წლით, მაშინ როდესაც აღნიშნული დოკუმენტი ძალაშია მისი გაცემიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო https://www.sa.gov.ge/p/sqesobrividanashauli, **სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ** მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „1. საგანმანათლებლო დაწესებულება, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, სკოლის გარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულება), საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევი დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დაწესებულება, რომელშიც სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის/უფლებაჩამორთმეული პირის დასაქმება აკრძალულია, ვალდებულია პირისთვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე მოსთხოვოს მას ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენა.“ ასევე **პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის** მუხლი 28[1]. პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

2. კოლეჯის დირექტორის მიერ ბოლო 1,5 წლის განმავლობაში გამოცემულია ათეულობით საკადრო ბრძანება პერსონალის დანიშვნის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, თანამდებობრივი გადაადგილების (მათ შორის პოზიციური დაქვეითება/დაწინაურება) ბრძანებები, რიგ შემთხვევებში ბრძანებებში არ არის მითითებული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან - „2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით“ იხ. დანართი N13 - საკადრო ბრძანებები.

დაწესებულებაში ბოლო 4 თვის განმავლობაში განხორციელებულია არაერთი დასაქმებულის დისციპლინური წარმოება. მათ შორის:

- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის N89 ბრძანებით შექმნილია დისციპლინური კომისია და ჩანიშნულია კომისიის სხდომა, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 04 დეკემბრის N92 ბრძანებით დამტკიცებულია დისციპლინური კომისიის მუშაობის წესი, რომლის არ არსებობა კომისიამ პირველ სხდომაზე აღმოაჩინა;
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N96 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი - აღნიშნულ პოზიციებს ერთი დასაქმებული იკავებდა);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N101 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების შესახებ (საქმისწარმოების სპეციალისტი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N98 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ (ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N97 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N99 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ (ფარმაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი);
- კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის N100 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და საყვედურის გამოცხადების შესახებ (აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი);
- კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის N46 ბრძანება გამოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და საყვედურის გამოცხადების შესახებ (იურისტი).

ინდიკატორი 4.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, დაწესებულების პროცესების მარეგულირებელი აქტ(ებ)ი შესაბამისობაში უნდა იყოს დაწესებულების სპეციფიკასა და პროცესებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

არ იყოს ურთიერთგამომრიცხავი და ატარებდეს თანმიმდევრულ ხასიათს. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: იდენტიფიცირებული პრობლემა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 კომპონენტის ინდიკატორი 4.1.2.1 - კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, კოლეჯის მარეგულირებელ ნორმათა ნაწილი არათანმიმდევრული ხასიათისაა, გაუმჯობესების აქტივობა N1 - 1. კოლეჯის მიერ განხორციელდება მარეგულირებელი აქტების რევიზია - გადაიხედება და შეიცვლება შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკა, რათა შიდა რეგულაციები ქმნიდეს ერთიან, თანმიმდევრულ ხასიათს; 2. საკადრო ბრძანებების სტანდარტიზაცია: გადაიხედება და განახლდება დირექტორის საკადრო ბრძანებების შაბლონები, სადაც წინასწარ იქნება განსაზღვრული სავალდებულო სამართლებრივი რეკვიზიტები. სავალდებულო წესით განისაზღვრება, რომ თითოეულ ბრძანებას ჰქონდეს ზუსტი სამართლებრივი საფუძველი (საქართველოს შრომის კოდექსისა და კოლეჯის შიდა აქტების შესაბამისი მუხლების მითითებით); 3. ბრძანებებს დაემატება და პირად საქმეში გათავსდება მატერიალური საფუძვლები (მაგ.: პერსონალის განცხადება, თანხმობა დანიშვნის შესახებ. სამსახურებრივი ბარათი და სხვ.), რაც უზრუნველყოფს თითოეული საკადრო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას;

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე (გარდა პირველი აქტივობისა, რომლის განხორციელბის ვადა არის 1 თვე), რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-4 სტანდარტის **4.1.2.1** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

დაწესებულებაში პერსონალის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა დასაქმება შესაძლებელია, როგორც კონკურსის, ისე პირდაპირი აყვანის გზით. კოლეჯში პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და სქემების პროცედურული საკითხები გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტით, რომლის დებულებები პერსონალის შერჩევის მიდგომებთან დაკავშირებით არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე/ტექნიკური პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა-უნარები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ თითოეული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან გარდა ბიბლიოთეკარის პოზიციისა. კერძოდ სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვითაც ბიბლიოთეკარისთვის მოთხოვნილია არანაკლებ პროფესიული განათლება და კომპეტენცია/კვალიფიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ბიბლიოთეკის პროცედურების განხორციელებასთან. კოლეჯში დასაქმებული პირი არის საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, მას არ უდასტურდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფლობა. პირად საქმეში არ იყო განთავსებული არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

ინდიკატორი 4.1.2.3 არ არის დაკმაყოფილებული, პერსონალის კვალიფიკაცია ბიბლიოთეკარის პოზიციის შემთხვევაში არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 17 მარტის № 81 ბრძანებით დამტკიცებულია "შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა". გეგმის აქტივობები განსაზღვრულია შემდეგი კომპონენტების დასაკმაყოფილებლად: N1 - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 კომპონენტის ინდიკატორი 4.1.2.1 - კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რიგი საკადრო ბრძანებები არ მოიცავს შესაბამის საფუძვლებს. ასევე, კოლეჯის მარეგულირებელ ნორმათა ნაწილი არათანმიმდევრული ხასიათისაა; N2 - ინდიკატორი 4.1.2.4 კოლეჯში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნებამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; N3 - ინდიკატორი 4.2.1.1 კოლეჯი არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარებისსაჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული; N4 - ინდიკატორი 4.2.1.2 . პერსონალის განვითარება არ ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისადშემუშავებული გეგმის მიხედვით. დაწესებულების მიერ გეგმაში მოცემული სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში გაწერილ აქტივობებში არ არის განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმეების რევიზია, მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება, ან სხვა რაიმე აქტივობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უზრუნველყოფდა **4.1.2.3** ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მე-10 გვერდზე ვკითხულობთ დაწესებულების შემდეგ შეფასებას - "……..აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ <u>პერსონალის ფორმალური კვალიფიკაციის მიუხედავად,</u> ბიბლიოთეკის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, ფუნქციონირება მაღალ დონეზეა ორგანიზებული და სტუდენტებისთვის მომსახურების გაწევის ხარისხი არ გაუარესებულა." ასევე, "ამასთანავე, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ დაწესებულებაში დასაქმებული <u>დანარჩენი პერსონალის</u> კვალიფიკაცია სრულად და უხარვეზოდ შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს, რაც თავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული მოკვლევითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება. შესაბამისად, ბიბლიოთეკარის პოზიციაზე გამოვლენილი შეუსაბამობა ატარებს მხოლოდ ერთეულ, ლოკალურ ხასიათს და იგი არ უნდა იქნას განხილული როგორც მართვის სისტემური ხარვეზი", დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში არ არის განსაზღვრული არც ერთი აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს **4.1.2.3** ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ბიბლიოთეკარის პირად საქმეში არ იყო განთავსებული არც ერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა დასაქმებულის კომპეტენციას ბიბლიოთეკის პროცედურების ფლობის ნაწილში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნის - **ამონარიდი ბიბლიოთეკის სამუშაო და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან: პუნქტი V. საკვალიფიკაციო მოთხოვნები: დასაქმებულს ამ თანამდებობაზე მოეთხოვება: კვალიფიკაცია/კომპეტენცია - ბიბლიოთეკის პროცედურების, წიგნის შენახვა,** შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით დაწესებულება შეეფასებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების**" მე-40 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისად, დაწესებულება შეფასდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან". აქვე, განვმარტავთ, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა შეფასებისას კოლეჯის ბიბლიოთეკის არაეფექტური ფუნქციონირება არ გამოვლენილა, დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა დასაქმებულის პირადი საქმე მოეყვანა შესაბამისობაში მოთხოვნებთან, დასაქმებულს წარმოედგინა ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მტკიცებულება (მაგალითად, იმ პროფესიული მოდულების გავლის დადამადასტურებელი ცნობა, რომელთა სწავლის შედეგები თავსებადი იყო ბიბლიოთეკის პროცედურების შესრულებასთან), დასაქმებულის რეზიუმე შევსებულიყო სრულყოფილად და წარმოდგენილიყო ცნობა ბიბლიოთეკარის მოვალეობების შესრულების გამოცდილების შესახებ, რაც აღნიშნულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ან/და სხვ.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის" დოკუმენტის მე-19 მუხლით განსაზღვრულია კოლეჯის ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა, რის მიხედვითაც დაწესებულების მიერ გააზრებულია, რომ მის კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ორგანიზაციული კულტურა. წარმატება კი მოტივირებულ ადამიანურ რესურსშია, რადგან ადამიანური რესურსი არის ის მთავარი კაპიტალი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს და ავითარებდეს კოლეჯის მენეჯმენტი. კოლეჯის მიზანია ჩამოყალიბდეს ორგანიზაციული კულტურა - სადაც უპირატესობა ენიჭება გუნდურ მუშაობას, მხარდაჭერასა და ცოდნის გაზიარებას; ორგანიზაციული კულტურა - სადაც ჩამოყალიბებულია ერთიანი „მე"-ს განცდა და შენარჩუნებულია პერსონალის ინდივიდუალურობა. მიზნის მისაღწევად კოლეჯი აყალიბებს მართვის თანამშრომლობით, გამჭვირვალე სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ორგანიზაციის მიმართ ერთგულებისა და ნდობის ჩამოყალიბებას. თუმცა, დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის მიზანი და არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა ვერ შეფასდება გარემოებად, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ინდიკატორი 4.1.2.4 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - ინდიკატორი 4.1.2.4 კოლეჯში არსებული მდგომარეობა არ ეფუძნებამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, <u>გაუმჯობესების აქტივობა N2</u> - კოლეჯის დებულებასა და პერსონალის მართვის პოლიტიკაში დაზუსტდება, მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპის მნიშვნელობა და საშუალებები, კერძოდ, ნებისმიერი სიახლის დაგეგმვა, რეგულაციების შემუშავება, სამოქმედო გეგმები, ანგარიშებისა და გადაწყვეტილებების ფორმირება განხორციელდება ფართო ჩართულობით, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (კომპეტენციის ფარგლებში). ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-4 სტანდარტის **4.1.2.4** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N42 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესი";
2. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის დებულება";
3. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N81 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის სტრუქტურა";
4. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის საშტატო განრიგი";
5. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა";
6. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
7. დაწესებულების პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
8. დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები პერსონალის დანიშვნის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და პოზიციური ცვლილებების შესახებ;
9. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
10. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ 21-ე მუხლი არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა კვლევის საკითხებს, რის მიხედვითაც შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა კვლევა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება მათი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მათ შორის, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით. ადმინისტრაციის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მიზნით ხორციელდება ანგარიშგება უშუალო უფროსთან თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას. შედეგები ანალიზდება და განიხილება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

დაწესებულებაში პერსონალის საქმიანობის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N20 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის შეფასების/თვითშეფასების განხორციელებასა და შესაბამისი ფორმის დამტკიცებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებისა და კმაყოფილების, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზნებისათვის პერსონალის გამოკითხვის შედეგები დიაგრამების სახით (google.docs-ის ფაილი), თუმცა კვლევის მიგნებები არ არის გაანალიზებული, წარმოდგენილია მხოლოდ საწყისი მონაცემები.

ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია:
<u>იდენტიფიცირებული პრობლემა</u> - ინდიკატორი 4.2.1.1 კოლეჯი არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ხოლო პროფესიული განვითარებისაჭიროებათა კვლევის შედეგები არ არის გაანალიზებული, <u>გაუმჯობესების აქტივობა N3</u> - განცხორციელდება პერსონალის შეფასების წესის გადახედვა/ განახლება პერსონალის საქმიანობის შეფასების ციკლის განხორციელება (შეფასება/ანალიზი/გაზიარება/შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა); ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-4 სტანდარტის **4.2.1.1** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით
დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის 5.3 აქტივობა გულისხმობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგს, თემაზე: ,,სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში", პერსონალის განვითარების სხვა გეგმა დაწესებულების მიერ არ წარმოდგენილა. მოცემული აქტივობა არ არის საკმარისი პერსონალის განვითარებისთვის, ასევე აღნიშნული აქტივობა არ არის განკუთვნილი კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის.

დაწესებულებაში წინა წლებში განხორციელებულია არაერთი აქტივობა პერსონალის განვითარების მიმართულებით, თუმცა აღნიშნული რამდენად ეფუძნებოდა პერსონალის საჭიროების კვლევას, ვერ დგინდება. დაწესებულებას არ ჰყავს პერსონალის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, მოცემული პოზიცია ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვაკანტური იყო. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირიც რამდენიმე თვის დანიშნულია, ხოლო კოლეჯის დირექტორი მოცემულ საკითხზე დეტალურ ინფორმაციას არ ფლობდა.

ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. პერსონალის განვითარება არ ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა - </u>ინდიკატორი 4.2.1.2 . პერსონალის განვითარება არ ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისადშემუშავებული გეგმის მიხედვით, <u>გაუმჯობესების აქტივობა N4</u> - განხორციელდება პერსონალის საჭიროებების კომპლექსური კვლევა, კვლევის ანალიზის საფუძველზე განხორციელდება პერსონალის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარების გეგმის კორექტირება. ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 6 თვე (გარდა პირველი აქტივობისა, რომლის განხორციელბის ვადა არის 1 თვე), რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-4 სტანდარტის **4.2.1.2** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ 21-ე მუხლი არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, რის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში (მეცადინეობაზე დასწრება, შეფასების ინსტრუმენტისა თუ შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებლის თვითშეფასება). დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის 5.3 აქტივობა გულისხმობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგს, თემაზე: ,,სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ მე-20 მუხლი არეგულირებს დაწესებულებაში სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმებს, რის მიხედვითაც კოლეჯი ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. დასაქმებულის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერის მიერ განისაზღვრება ყველა ის თემა, რომელთა მიმართებაშიც თანამშრომლისთვის პირველივე ეტაპზე საჭიროა შესაბამისი ინფორმირება/მხარდაჭერა. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელს დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციითა და სამუშაოს ჯეროვნად შესრულებისათვის საჭირო პირობებით. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესში ჩართულია უშუალო ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიცირებული თემიდან გამომდინარე, სხვა თანამშრომლებიც. პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელსაც არ აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, სწავლების დაწყებამდე უტარდებათ შესაბამისი ტრენინგი/ინსტრუქტაჟი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გასაუბრება შედგა ახლად დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრებისას მათ დეტალურად აღწერეს კოლეჯში არსებულ მხარდაჭერის აქტივობები და გამოხატეს კმაყოფილება დაწესებულების პერსონალის მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დაწესებულებაში არ არის ფორმალიზებული პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაკმაყოფილების გამჭვირვალე მექანიზმები. თუმცა, პერსონალთან ინტერვიურებისას ზემოაღნიშნულის დასტურად დასახელებულ იქნა არაერთი პერსონალის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით, კოლეჯის პერსონალის მიერ ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სხვა პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაკმაყოფილების გამჭვირვალე მექანიზმები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“;
2. დაწესებულების პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგები;
3. დაწესებულების პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
4. დაწესებულების წლიური სამოქმედო გეგმა;
5. დაწესებულების პერსონალის განვითარების მიზნით ღონისძიებების ჩატარების მტკიცებულებები;
6. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
8. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N81 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯი იჯარის ხელშეკრულებით განკარგავს ქ. ბათუმში ჯავახიშვილის ქ,# 3 ა-ში(ს.კ.**05.23.12.028**) მდებარე მიწის ნაკვეთს მასზე მდებარე შენობა ნაგებობებით და ინვენტარით. უძრავ ქონებაზე მეიჯარის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან # **892025304225**. უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმების თარიღი - 02/02/2023, საგანი:დაზუსტებული ფართობი: 743.00 კვ .მ. შენობა-ნაგებობა:N1; საბოლოო თარიღი: 31/12/2040;

კოლეჯში მოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

1. თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;
2. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
3. ადმინისტრაციული სივრცე;
4. სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
5. სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
6. სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;
7. ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი;
8. ფარმაციის ლაბორატორია;
9. სივრცე სპორტული აქტივობებისთვის და სხვ.

დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები.

კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი დაწესებულების ფინანსური მენეჯერთან ერთად. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულების პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული სივრცით, თავისუფალი აუდიტორიით, სველი წერტილებით.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
დაწესებულების ტერიტორიაზე სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი, ხოლო მონიტორინგზე კოლეჯის მატერიალური რესურსების სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

კოლეჯის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგება, რაც დასტურდება ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით.

კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით
დაწესებულების ფართი აღჭურვილია ელექტრონული გათბობის სისტემით. ელექტრონული გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 30 იანვრის N26 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ნიუ მეჯიქის უსაფრთხოების წესები“, „შპს ნიუ მეჯიქის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესი“, „შპს ნიუ მეჯიქის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ და შექმნილია საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედი ოპერატიული შტაბი.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N27 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ნიუ მეჯიქის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“, „შპს ნიუ მეჯიქის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის დებულება/გეგმა“ და „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესი“. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისი სამუშაო ფორმები, პერსონალის ინსტრუქტაჟის მოდულები.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი", რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომელიც დირექტორთან და ფინანსურ მენეჯერთან შეთანხმებით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას.

კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვისა და მიწოდების დოკუმენტები და პროფესიულ სტუდენტებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" მეორე თავი არეგულირებს კოლეჯის დამხმარე პროცესების შეფასებას, რომელიც ეყრდნობა პროცესების მონიტორინგს, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. ძირითადი მიგნებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. დაწესებულებაში მატერიალური რესურსის მართვა ხორციელდება შემდეგნაირად: უძრავი ქონების მართვა; მოძრავი ქონების მართვა; შესყიდვები (შენახვა/დასაწყობება; ჩამოწერა); პროგრამების შესაბამისად სასწავლო გარემოს აღჭურვა; საინფორმაციო რესურსების მართვა; ადაპტირებული გარემოს მოწყობა/მართვა; კომუნიკაციების მართვა (ელ. ენერგია, წყალი, გათბობა). პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვისა და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ შეუსაბამობებზე ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება. აღნიშნული მექანიზმები მიმდინარე წელს არის დამტკიცებული და ჯერჯერობით ანგარიშგება არ განხორციელებულა. წინა წლის პრაქტიკის მიხედვით დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის მოთხოვნის ფორმები და ინვენტარის/მომსახურების მიწოდების/შესყიდვის დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელსაშრობი დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. კოლეჯში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის სივრცეში. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაიტანონ წიგნი ან ისარგებლონ კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

დაწესებულების შენობაში არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები და სხვა სივრცეები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დაწესებულების ვებვერდზე განთავსებულია და კოლეჯის ბიბლიოთეკაში გამოკრულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის N21 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფის მექანიზმები. საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი.

დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას.

საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
5. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 16 იანვრის N21 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
6. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის მასალები;
7. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
8. დაწესებულების ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
9. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
10. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები;
11. მასალა-ნედლეულის შესყიდვის, ხარჯვისა და ნარჩენი რესურსის აღრიცხვის მტკიცებულებები;
12. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
13. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.newmagic.ge/.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს მიერ გამოგზავნილი წერილი, სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების შესახებ ადასტურებს (აქტი N186, 19.10.2022) რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობების მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია უფლებამოსილი ორგანოს (ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს) მიერ 2022 წლის 21 ივლისს გაცემული დადებითი N004956422 დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 30 იანვრის N26 ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“. რეგულაციის თანახმად დაწესებულების სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და მის მუშაობას წარმართავს ექთანი. ვიზიტის დროს განხორციელდა პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის განკუთვნილი სივრცის ვიზუალური დათვალიერება. კოლეჯს ადგილზე აქვს წარმოდგენილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობა და საშუალებები. რეგულაციის თანახმად კოლეჯი ვალდებულია ექთნის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტი პირველადი დახმარებისთვის საჭირო საშუალებებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, ექთანი ახდენს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის მონიტორინგს. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველსაყოფად კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექთანთან, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს და სხვ. დაწესებულებაში იწარმოება ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

დაწესებულებაში მოწყობილია პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

დაწესებულებაში მოქმედებს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებული ფუნქციები წევრებს შორის. აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს შინაგან სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ 2023 წლის 29 მარტის NMIA 9 23 00885701 შეთანხმებული შენობის საევაკუაციო გეგმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

კოლეჯში დამტკიცებულია და ვებგვერდზე განთავსებულია „წესრიგის დაცვის მექანიზმები“. დოკუმენტში გაწერილი დებულებები არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან. კოლეჯს ემსახურება დარაჯი. კოლეჯის ტერიტორიაზე კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. ამ სისტემით განხორციელებულ ვიდეო-მასალაზე დაშვების უფლება აქვს: კოლეჯის დირექტორს და დარაჯს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს აქტი (აქტი N186, 19.10.2022) სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების შესახებ;
2. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2022 წლის 21 ივლისს გაცემული დადებითი N004956422 დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
3. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 30 იანვრის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“;
4. საქართველოს შინაგან სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ 2023 წლის 29 მარტის NMIA 9 23 00885701 შეთანხმებული შენობის საევაკუაციო გეგმები;
5. „წესრიგის დაცვის მექანიზმები“;
6. უსაფრთხოებასა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეები;
7. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
8. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.newmagic.ge/.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, IT ტექნიკა და ინტერნეტი. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს IT პროცესებზე პასუხისმგებელი პირი, რომლის კომპეტენცია საკმარისია დაწესებულების IT პროცესების ეფექტური მართვისთვის.

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 10 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა“, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნეტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

დაწესებულებაში ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, რის დასტურადაც წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის ანგარიშები, IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების რეკომენდაციები, მოთხოვნის ფორმები და შესყიდული ინვენტარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 02 თებერვლის №27 ბრძანებით დამტკიცებულია "პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები". დაწესებულებას 2024 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯის მომსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით.

პერსონალური მონაცემები კოლეჯის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონით დადგენილ შემთხვევებში. კოლეჯი ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 ივნისის N33 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში „ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი".

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით გათვალისწინებული პროცესები, წარმოდგენილია წერილობითი თანხმობები პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება სისტემატურად ხორციელდება. წარმოდგენილია IT ტექნიკისა და პროცესების ეფექტიანობის შეფასება დასკვნები, ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფისთვის ინვენტარის მოთხოვნის ფორმები და მათი შესყიდვის დოკუმენტები.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული IT რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, რომელიც ადგენს მატერიალური რესურსების, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე შესაძლებელია ინტერნეტის სარგებლობა, მათ შორის არის უკაბელო ინტერნეტი (Wi-Fi).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, გასაუმჯობესებელი საკითხები აღწერილია მეოთხე ინდიკატორში.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას. კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები, როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow“), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 10 იანვრის N19 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა“;
2. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 02 თებერვლის №27 ბრძანებით დამტკიცებული “პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები”;
3. 2024 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომსახურების შესყიდვის თაობაზე;
4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 ივნისის N33 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯში „ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი“;
5. დაწესებულების პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
6. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 27 დეკემბრის N16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“, რომელიც შესაბამისობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მატერიალური საქმისწარმოების ნაწილში, თუმცა წესი არ მოიცავს ელექტრონული საქმისწარმოების მექანიზმებს. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოების სპეციალისტი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის მატერიალური სახით დასამუშავებლად საჭირო პირობებს, კორესპონდენციის რეგისტრაციის, დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესებს, კოლეჯში არსებული დოკუმენტების სახეებს, მათი რეგისტრაციისა და ინდექსირების წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან, გარდა ელექტრონული საქმისწარმოების მექანიზმებისა.

ინდიკატორი 5.2.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი ელექტრონული საქმისწარმოების წესი; დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N82 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: <u>იდენტიფიცირებული პრობლემა -</u> ინდიკატორი 5.2.2.1 კოლეჯში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი ელექტრონული საქმისწარმოების წესი, <u>გაუმჯობესების აქტივობა N1</u> - კოლეჯის შიდა რეგულაციის - საქმისწარმოების წესის ცვლილება, კერძოდ წესში აისახება და გაიწერება ელექტრონული საქმისწარმოების მექანიზმები. ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-5 სტანდარტის **5.2.2.1** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მათ შორის - ვებგვერდი, სოციალური გვერდი. კოლეჯში საქმისწარმოების მიზნით არსებობს ელექტრონული სისტემა "eflow", სადაც ჩართულია კოლეჯის 4 თანამშრომელი, თუმცა ელექტრონული საქმისწარმოება არასისტემურია. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არასრულადაა აღრიცხული შემოსული კორესპოდენცია, ბრძანებები და სხვ. დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით იქნა გადამოწმებული რიგი დოკუმენტები, რომელიც სისტემაში უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები სისტემაში არ იძებნებოდა - იხ. დანართი N 14 - საქმისწარმოების სისტემაში დოკუმენტების ძიების მტკიცებულებები.

ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. თუმცა, პრაქტიკაში არასრულად გამოიყენება. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N82 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია: იდენტიფიცირებული პრობლემა - ინდიკატორი 5.2.2.2 კოლეჯში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა, პრაქტიკაში არასრულად გამოიყენება, გაუმჯობესების აქტივობა N2 - პერსონალის შიდა ტრენინგი ელექტრონული სისტემის სრულფასოვნად ასათვისებლად. ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-5 სტანდარტის **5.2.2.2** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხებს, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა სისტემაში ასახული პროფესიული სტუდენტები, პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და კვალიფიკაციის მინიჭების, ასევე მობილობის პროცესის ამსახველი ინფორმაცია და სისტემაში ატვირთული ბრძანებები, ასევე შერჩევით შემოწმდა პერსონალის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, ცალკეული პერსონალის შესახებ სისტემაში მონაცემები არ ფიქსირდებოდა (იხ. დანართი 15 - ემისის მონაცემები). აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება არასრულად აწარმოებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

ინდიკატორი 5.2.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული დაკმაყოფილებული. დაწესებულება არასრულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანას.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N82 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია:

<u>იდენტიფიცირებული პრობლემა -</u> ინდიკატორი 5.2.2.3 კოლეჯი არასრულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანას, <u>გაუმჯობესების აქტივობა N3</u> - კოლეჯის, რეესტრის წარმოების წესში განხორციელდება ცვლილება, კერძოდ ინფორმაციის შეტანა დადასტურდება ფორმალური უკუკავშირით. დაინერგება ინფორმაციის მიწოდების წესი: კოლეჯის საქმისწაროების სპეციალისტი (ელ-ფოსტით) აწვდის ინფორმაციას რეესტრის წარმოების სპეციალისტს. კომუნიკაციის დადასტურება: ადმინისტრატორი ვალდებულია, მონაცემების სისტემაში ასახვისთანავე, საპასუხო შეტყობინებით დაუდასტუროს მომწოდებელს შესრულება. ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღეს, რეესტრის წარმოების სპეციალისტი და საქმისწარმოების სპეციალისტი ახორციელებენ მონაცემთა შეჯერებას.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 6 თვე, რაც ექსპერტთა შეფასებით საკმარისი დროა, ამასთან დაწესებულებას აქვს რესურსი და ჰყავს პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემული აქტივობების შესრულებას, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მე-5 სტანდარტის **5.2.2.3** ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 27 დეკემბრის N16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“, სადაც განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმის წარმოების სპეციალისტი. კოლეჯის სტრუქტურული/საშტატო ერთეულები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 27 დეკემბრის N16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”-ში ჩართვის მიზნით, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
4. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”;
5. დაწესებულების მიერ ხელშეკრულებები და სხვა მასალების სარეგისტრაციო ჟურნალები;
6. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
7. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.
8. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 17 მარტის N82 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - ,,ნიუ მეჯიქის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ავტორიზაციის V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N37 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული პირების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. კოლეჯს აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი, ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა კოლეჯთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სხვ.

შესაბამისად, კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიასა და დასახელებაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. თუმცა კოლეჯს აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც, მაგრამ მხოლოდ ინფორმაციის ნაწილი იძებნება ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N37 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების უფლებამოსილება აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს. კოლეჯის კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების 2025 წლის კატალოგი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება.
ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებული უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას და მათ მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშების დოკუმენტებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N37 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
3. დაწესებულების პერსონალის საქმიანობის ანგარიშები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და პროფესიული სტუდენტების მიერ თანადაფინანსების გზით. კოლეჯის ფინანსური მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო ინტერვიურებისას ფინანსურმა მენეჯერმა განაცხადა, რომ სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, თუმცა ასეთი ანგარიშები ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ წარმოდგენილა.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ტრანზაქციებით, მომსახურების ხელშეკრულებებით, აქტივობებში მონაწილეობის ფოტო მასალებით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების დოკუმენტები (სასაქონლო ზედნადებები, საგადახდო დავალებები), რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯი ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის თაობაზეც ექსპერტებს ინფორმაცია მიაწოდა კოლეჯის დირექტორმა და ფინანსურმა მენეჯერმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს დაწესებულების ბიუჯეტს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. ბიუჯეტის შედგენისას ითვალისწინებს წინა წლის შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების ბიუჯეტი 2024, 2025, 2026 წწ;
2. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმების შესრულების დოკუმენტები;
3. ცალკეული ფინანსური ტრანზაქციის დოკუმენტები;
4. დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი ი.ჯავახიშვილის ქ. N 3ა
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	67
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	75
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	----------	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	----------	*არ ექვემდებარება შეფასებას*
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	----------	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	----------	*არ ექვემდებარება შეფასებას*
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	----------	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, ხოლო კლინიკური მოდულები სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B სასწავლო გარემოებები, მათ შორის:

- A გარემო - განთავსებულია 31 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; 1 დაფა, 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის;
- A/C გარემო - განთავსებულია 26 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; 1 დაფა, 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- B გარემო N1 - განთავსებულია 16 კომპიუტერი და სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; 1 დაფა, 1კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით) და 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის;
- B გარემო N2 - განთავსებულია 24 კომპიუტერი და სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; 1 დაფა, 1კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით) და 1 ეკრანი პრეზენტაციებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** პრაქტიკული და კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

- შპს “მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი” - ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 24 თებერვალს (განახლებულია 2026 წლის 12 იანვარს) და ძალაშია 2029 წლის 12 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;
- შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრი” (ბი ემ სი) - ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 24 თებერვალს (განახლებულია 2026 წლის 12 იანვარს) და ძალაშია 2029 წლის 12 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;
- სს „ევექსის ჰოსპიტლები“ - ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 24 თებერვალს და ძალაშია 2029 წლის 01 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;
- შპს “ხოზრევანიძის კლინიკა” - ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 21 მაისს და ძალაშია 2029 წლის 01 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;

პარტნიორი დაწესებულებები ბაზარზე ცნობილი პროვაიდერები არიან. სამედიცინო დაწესებულებები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება კოლეჯის 2023 - 2024 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** განხორციელების მიზნით შერჩეულია 17 პირი, მათ შორის 5 ზოგადი მოდულის (1 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 1 - უცხო ენა, 2 - კომუნიკაცია, 1- ქართული ენა) განმახორციელებელი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 12.

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** განხორციელებაში იმ პერსონალს, რომელიც წარმოდგენილი პროგრამის პერსონალის ნუსხის მიხედვით, დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოაზრებულ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. ფლობენ ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„საექთნო განათლება“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიკაციით ექთანი დარგში მუშაობის გამოცდილებით (2012 წლიდან), ხოლო თანახელმძღვანელი - პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით (2015 წლიდან).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ზრუნავენ პროგრამის განვითარებაზე, ჩართული არიან პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებიან პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული არიან შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობენ ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„საექთნო განათლება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე და ასევე, ჩაწერილია სტუდენტების გამოყენებისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკის ვიზუალური შემოწმება, მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ინტერვიურება ადასტურებს, რომ რესურსები არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ეფექტურად არის ინტეგრირებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო და მატერიალური რესურსები რელევანტურია, მრავალფეროვანია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ, მათ შორის ბიბლიოთეკაში, სასწავლო გარემოებში და ელექტრონული პლატფორმებით, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავდა სხვა პროგრამების ფარგლებში და აქვს მსგავსი გამოცდილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საექთნო განათლება“**, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერები სამინისტროს მიერ და პროფესიული სტუდენტების თანადაფინანსებით. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით.

პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები, თუმცა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტში არ არის შეტანილი პროფესიულ სტუდენტთა თანადაფინანსების კომპონენტი. აღნიშნული დაწესებულების მიერ აიხსნა იმით, რომ საპროგნოზო ბიუჯეტი დაწესებულებამ შეადგინა პროფესიულ სტუდენტთა მიღებამდე, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა თანადაფინანსების საკითხი განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. თანადაფინანსების საჭიროება დაწესებულების დირექტორის მიერ აიხსნა იმით, რომ კერძო კოლეჯები არ ფინანსდებიან პროგრამული დაფინანსებით და იმისთვის, რომ დაწესებულებამ შეძლოს განვითარება, აუცილებელია დამატებითი ფინანსური შემოსავლების მიღება. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: საოპერაციო, პროგრამის განვითარებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა/თანახელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თანახმად თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 36 სასწავლო თვე, 148 სასწავლო კვირა (210 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 30 სასწავლო თვე, 128 სასწავლო კვირა (180 კრედიტი). პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ჩართულობით ადგენს მეცადინეობის განრიგს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სასწავლო პროცესის მენეჯერი/სპეციალისტი უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, ადმინისტრაციულ პერსონალს და დაისვა მიზნობრივი კითხვები სასწავლო დაგეგმვასა და ადმინისტრირების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა აწარმოონ პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიო, სადაც განთავსდება მოდული, კალენდარული გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი შეფასების მტკიცებულებები და სხვა მასალები მასწავლებლის შეხედულებისამებრ, აღნიშნული უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის შეფასებას და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, ასევე პორტფოლიო გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნებისათვის.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან (სადაც ამჟამად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი) ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მენეჯერი/სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, 5.3 აქტივობა ასევე გულისხმობს პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის ტრენინგის ჩატარებას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“** განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

დაწესებულებას აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** პრაქტიკული და კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია თანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

- შპს “მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი” - ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 24 თებერვალს (განახლებულია 2026 წლის 12 იანვარს) და ძალაშია 2029 წლის 12 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- შპს ,,ბათუმის სამედიცინო ცენტრი" (ბი ემ სი) - ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 24 თებერვალს (განახლებულია 2026 წლის 12 იანვარს) და ძალაშია 2029 წლის 12 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;
- სს „ევექსის ჰოსპიტლები" - ხელშეკრულება გაფორმებულია 2023 წლის 24 თებერვალს და ძალაშია 2029 წლის 01 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "ხოზრევანიძის კლინიკა" - ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 21 მაისს და ძალაშია 2029 წლის 01 იანვრამდე, დაწესებულება მზადაა მიიღოს 25 პროფესიული სტუდენტი;

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება"** დაწესებულების ბაზაზე სწავლებისას არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. თუმცა, სტანდარტული უსაფრთხოებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე ქცევის წესების გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და კოლეჯში შრომისა და სწავლის უსაფრთხო პირობები შეესაბამება შრომის უსაფრთხოების საქართველოს ორგანული კანონისა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ გეგმიური ტრენინგები უსაფრთხოების სხვადასხვა მოდულებში.

კლინიკებში დასაცავი უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტებს ინსტრუქტაჟი უტარდება კლინიკებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;**
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“**;
3. უნივერსიტეტის **შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა** და ტრენინგებზე დასწრების მტკიცებულებები;
4. პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის პირადი საქმეები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“** არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების საკითხები. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესები.

დაწესებულებაში განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

შეფასების სისტემა განმსაზღვრელი შეფასების გარდა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ, პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას, პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის ან შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, პროფესიულ სტუდენტს ასევე ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში გამოიყენოს აპელაციის უფლება. აღნიშნული წესის გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ დაწესებულების ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში მოხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული წესის შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის ფორმები და შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულებაში დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხები, წარმოდგენილია ვერიფიკაციის 2026 წლის გეგმა და წინა წლის ვერიფიკაციის ანგარიში.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“** არეგულირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“** მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერაზე მზაობა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;**
2. დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული **„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“**;
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შედეგები;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები;
5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

7. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის 2026 წლის გეგმა;
8. პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი N2. მეცადინეობებზე პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგის შედეგები;
დანართი N3. პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე;
დანართი N4. პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
დანართი N5. კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის აქტი;
დანართი N6. კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ორიგინალთან შესაბამისობის დადასტურება;
დანართი N7. კოლექტიურ განცხადებაზე ხელმომწერი პირის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები;
დანართი N8. პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის შეღავათით სარგებლობის მტკიცებულებები;
დანართი N9. დაწესებულების შიდა აქტებში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე პერსონალის ინფორმირების მტკიცებულებები;
დანართი N10. დაწესებულების მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის 2024 წლის შედეგები;
დანართი N11. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
დანართი N12. პროფესიული განათლების მასწავლებლის აყვანის მტკიცებულებები;
დანართი N13. დაწესებულებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების თაობაზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებები;
დანართი N14. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით სარგებლობის მტკიცებულებები;
დანართი N15. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის მტკიცებულებები;
დანართი N16. დისციპლინური საქმისწარმოების მასალები - 2025 წ;
დანართი N17. დისციპლინური საქმისწარმოების მასალები - 2026წ.

30.03.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____